ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სალომე ზურაბიშვილი: „მე ყველას პრეზიდენტი ვიქნები“

გვ.3



ორშაბათი, 17 დეკემბერი, 2018 №298 (7843) ფასი: 60 თეთრი

# გიორგი გახარია ნიკა მელიას დაჭერით დაემუქრა



## ოპოზიციის სისხლიანი ლაშქრობა კახეთში

გვ.2





## „ზვიად გამსახურდიას მკვლელებს ხელს ივანიშვილი აფარებს“



გვ.4

ცოტნე გამსახურდია: „ცდილობენ, დრო გაიყვანონ, რომ ეს საქმე დახურონ“



## სუსმა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ადვოკატი დააკავა

გვ.4

## „კოალიციური მთავრობა გარდაუვალია“



ლევან ალაფიშვილი: „მაჟორიტარები კვლავ შეეცდებიან თავიანთი საფაშოების შენარჩუნებას“ გვ.4

**სამართალი** გვ.7

## ზესტაფონში ბიზნესმენს ქურდები მოგების 30 პროცენტს სთხოვდნენ



ფრიდონ სულაქველიძის ძმა, ხვიჩა, დააკავეს

## მარნეულში 60 წლის ბასტი მამედოვა საკუთარი სახლის სარდაფში დამარხული იპოვეს

## მასობრივი ჩხუბი ტატიშვილზე

დაკავებულია გივი დრობიშევი





**ეკონომიკა**



## კახა კახიშვილის განცხადებით, მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები ღონისძიების გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი

გვ.6



## ტყუის თუ არა ამერიკული ჟურნალი Foreign Policy?

სადავო საკითხი საქართველოში აშშ-ის ელჩის დანიშვნაზე



## ზურაბ ჯაფარიძე: „ავლაბრის სასახლე უნდა გაიყიდოს, პრეზიდენტის სასახლე კი ქუთაისში უნდა იყოს“

ISSN 1987-9385

**5** რა საგარეო სირთულეები ელის საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს?

**5** ირაკლი კობახიძე: „სალომე ზურაბიშვილი იქნება ღირსეული პრეზიდენტი“

**5** დიმიტრი გაბუნია: „ახალი პრეზიდენტის გუნდის წარდგენა მიმდინარე კვირაში იქნება“

**5** სიმონ ნოზაძე: „კოაბიტაცია თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ“

# გიორგი გახარია ნიკა მელიას დაჭერით დაემუქრა

## ოპოზიციის სისხლიანი ლაშქრობა კახეთში





შორენა მარსაგიშვილი

საქართველომ თავისი „დემოკრატიით“ ევროპა კიდევ ერთხელ „გააოცა“. ოპოზიციის მშვიდობიანი მსვლელობა სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა. გურჯაანში მომხდარი შერკინების შედეგად 8 პოლიციელი დაშავდა. ნაცემი არიან ოპოზიციის წევრებიც.

ოპოზიციამ თელავში, სადაც ინაუგურაცია გაიმართა, აქცია ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე დააანონსა, რამდენიმე დღის წინ კი ქალაქის მერიისგან აქციის ჩასატარებლად ნებართვა ითხოვა.

გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი, მართალია, სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ ცნობდნენ, მაგრამ ინაუგურაციას არ ჩაშლიდნენ.

ოპოზიციამ გადაწყვიტა, თელავში მანქანების კოლონით შესულიყო. მანქანების კოლონა თბილისიდან დილიდანვე დაიძრა, მაგრამ თელავში გვიან და ისიც სისხლისღვრით ჩააღწია.

წინდახედულმა შსს-მ ოპოზიციას გზად მრავალი წინაღობა დაახვედრა. გომბორის გზა გადაკეტილი იყო, იქ პერსონებს მხოლოდ საშვებით ატარებდნენ. ამის გამო ოპოზიციამ გადაწყვიტა, გურჯაანის გავლით ჩასულიყო თელავში და სწორედ აქ დახვდათ მთელი ამბები.

სამართალდამცავებს უკვე გადაკეტილი ჰქონდა გზა. სოფელ ჩუმლაყთან სპეცტექნიკა იყო მობილიზებული.

ამ ფაქტმა ოპოზიცია აღაშფოთა. ერთი ქალი პოლიციის მანქანაზე ახტა და ფეხებს აბაკუნებდა. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი კობა ხაბაზი პროტესტის ნიშნად გზაზე დაწვა. ხაბაზი სპეცტექნიკის ბორბლებთან დაწვა და ისეთი ნეტარი სახე მიიღო, კაცი იფიქრებდა, ბუხართან დათვის ტყავზე წამოწვაო.

პროტესტი ნიკა მელიამაც გამოხატა. ირმა ინაშვილთან ნაფრონტალი დეპუტატი ძალიან იყო აღშფოთებული და არც აგრესიას მალავდა. მან საპატრულო პოლიციის უფროსთან ცადა საქმის გარჩევა.

მათ შორის საკმაოდ მძიმე საუბარი შედგა. სამართალდამცავები რამდენჯერმე შეეცადნენ მელიას გაკავებას, რომელიც გაბრაზებული მოზვერივით ტრიალებდა.

მელია იმდენად აქტიური იყო, რომ მან გიორგი გახარიას ყურადღებაც კი დაიმსახურა.

სამართალდამცავებმა ოპოზიციას შესთავაზეს, რომ ისინი თელავში ყვარლის გზით წასულიყვნენ.

ოპოზიციამ ეს შეთავაზება არ მიიღო. მათ დაზვერვაზე ჰყავდათ ხალხი გაგზავნილი. იქიდან მოტანილი ფოტომასალიდან ნათლად ჩანდა, რომ პოლიციას ეს გზაც გადაკეტილი ჰქონდა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გია ბარამიძის განცხადებით, ხელისუფლებას ადრევე განზრახული ჰქონდა გზის ჩაკეტვა. გზის ჩაკეტვის შესახებ კი ოპოზიციას არაფერი უთხრეს.

ამის გამო ბარამიძემ შსს-ს ხელმძღვანელობასა და ბიძინა ივანიშვილს სულ ლაჩრები ეძახა.



— სამის ნახევარზე მოვიდა შს მინისტრის მოადგილე კახა საბანაძე უტიფრად და განაცხადა ის, რა ვერსიაც აქვს ხელისუფლებას, თავისუფლების გამოხატვის უფლებას ყველასვაძლევთო, წამობრძანდითო და შატლები, იქეთ-აქით მოძრავი ავტობუსები არის მობილიზებული თქვენთვის და სამ საათამდე ჩაგიყვანთ თელავამდეო და მე ვუთხარი, როგორ არ გრცხვენიათ, აი, ამდენ ადამიანს უყურებთ თვალებში, კამერებს უყურებთ თვალებში და კიდევ გინდათ, უტიფარი ტყუილი მოახვიო თავს. რა გიშლიდათ ხელს, თუ ეს ყველაფერი მომზადებული გქონდათ, გეთქვათ ჩვენთვის და მერე გამოვიდა გახარია და იგივე ვერსია მოახსენა საზოგადოებას, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებდითო.

უტიფარი, მატყუარა ხარ, ლაჩარო გახარია, ლაჩარო ბიძინა ივანიშვილო! შენ რაც დღეს გააკეთე, შეურაცხყოფა მიაყენე საკუთარ თავს, — განაცხადა გიორგი ბარამიძემ რუსთავი 2-თან საუბარში.

აღშფოთებული იყო გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძეც. ყოველთვის გაწონასწორებული ვაშაძე ისე იყო წყობიდან გამოსული, რომ ხელისუფლების დამხობაზეც კი გააკეთა განცხადება.

მან თქვა, რომ თუ სამანქანე გზას ვერ გახსნიდნენ, თელავში ფეხით ჩავიდოდნენ.

— გადაადგილების თავისუფლება მოგვპარეს, მერე ხმის უფლებასაც მოგვპარავენ და მავთულხლართებს შემოავლებენ ჩვენს ბინებს, რომ გარეთ არ გამოვიდეთ. გომბორზე არ გადახვიდეთო, არ გადავედით, 40 კმ/სთ სიჩქარით მოვდიოდით.

მოიყვანეს ვიღაც ბანდერლოგი კუპატაძე. მაგას პოლიციელის ფორმა როგორ შეიძლება ეცვას და რაღაც ზღაპარს მიყვება უსაფრთხოების ზომაზე. ჯერ ერთი, ვის იცავენ? რას იცავენ? საქართველოს მოქალაქეებისგან იცავენ თელავს? არ ვიცი მე, ინაუგურაციამდე მოვასწრებთ თუ არა ფეხით თელავში ჩასვლას, მაგრამ, ამ ხელისუფლებას რომ კანონიერი გზით დავამხობთ, ამას ნამდვილად მოვასწრებთ, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.



დიდი ჭიდაობისა და ძიძგილაობის შემდეგ ოპოზიციამ მაინც შეძლო გზის გაგრძელება, მაგრამ ინაუგურაცია უკვე დასრულებული დახვდა.

### დაანონსებული დაჭერები

ველისციხესა და ჩუმლაყში მიმდინარე მოვლენებს მჭმუნვარე სახის შს მინისტრი გიორგი გახარია თელავიდან ადევნებდა თვალს. ერეკლეს ქალაქიდან მან პირობა დადო, რომ ყველა, ვინც უკანონოდ მოიქნია ხელი, დასჯილი იქნება.

გახარია განსაკუთრებით ნიკა მელიაზეა გამწარებული. მას სულ ნიკანორი ეძახა და, ფაქტობრივად, მისი შესაძლო დაკავება დააანონსა.

მისი თქმით, ყველა პროვოკაციული ქმედება, რომლებიც 16 დეკემბერს სხვადასხვა წერტილში განხორციელდა, სამართლებრივად იქნება გაანალიზებული.

როგორც შს მინისტრმა განაცხადა, სამართალდამცველებმა პატივი სცეს პრეზიდენტის ინსტიტუტს და თმენის ვალდებულებაზე უფრო მეტი მოითმინეს.

— მინდა დავპირდე მათ და სხვას არავის — 16 დეკემბრის საღამოდან, ხვალინდელი დღიდან, ყველა პროვოკაციული ქმედება, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა წერტილში, სამართლებრივად იქნება გაანალიზებული. იქ, სადაც იქნება სისხლის სამართლის შემადგენლობა, ყველას, მიუხედავად სტატუსისა და თანამდებობისა, მოეთხოვება შესაბამისი პასუხი. ამას ვპირდები ჩემს თანამშრომლებს, თითოეულ პოლიციელს. კიდევ ერთხელ მინდა, მათ ავუხსნა და ვუთხრა, რომ დღეს ჩვენ ყველამ ერთად, როგორც ინსტიტუტმა, პატივი ვეცით პრეზიდენტის ინსტიტუტს და თმენის ვალდებულებაზე უფრო მეტი მოვითმინეთ.

განურჩევლად სტატუსისა, ყველას მოეთხოვება შესაბამისი პასუხი. ნიკანორ მელიას ერთხელ დავპირდი, რომ როდესაც მსგავს საქციელს ექნებოდა ადგილი, როგორიც ჰქონდა წინა შემთხვევაში, შედეგი დადგებოდა იგივე. თუ ნიკანორ მელიას საქციელში სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა გამოიკვეთება, შედეგი იქნება იგივე, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

გახარიას ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. განსაკუთრებით ხელისუფლების მომხრე ქალბატონები გადაირივნენ. მათი ფეისბუქპოსტებიდან თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, შსს-თან აქციაც კი გამართონ მოთხოვნით — მელიას ნაცვლად ჩვენ დაგვიჭირე, გიორგი!

სულ სხვაგვარი რეაქცია ჰქონდა ოპოზიციას. ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ამბობს, რომ შს მინისტრმა პოლიციას ნიკა მელიას დაჭერაზე მწვანე შუქი აუნთო.

გიორგი ვაშაძის თქმით კი თავად გიორგი გახარიაა პასუხისგებაში მისაცემი.

### კარვები რუსთაველზე

გაერთიანებული ოპოზიცია გუშინ, 16 დეკემბერს, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი კახეთში წავიდა, მეორე თბილისში დარჩა. თბილისში დარჩენილებს რუსთაველზე უნდა გაემართათ აქცია, მაგრამ გურჯაანი-თელავის ტრასაზე ისეთი ამბები დატრიალდა, რუსთაველი ვიღას ახსოვდა.

თბილისი და რუსთაველი მაინც გაახსენდათ. ნაფრონტალმა ოპოზიციონერებმა ჯერ კიდევ თელავში განაცხადეს, რომ პროტესტს თბილისში გააგრძელებდნენ.

ნიკა მელიამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას უკან მიმავალ გზაზე — გომბორის უღელტეხილზე გამოაცხადებდნენ.

ხელისუფლებამ მათ გომბორზე უამრავი პოლიციელი დაახვედრა, მაგრამ ამჯერად სისხლი აღარ დაღვრილა.

გადაწყვეტილება მშვიდობიანად იქნა გამოცხადებული. გიორგი ვაშაძემ მხარდამჭერებს განუცხადა, რომ იქიდან ისინი პირდაპირ პარლამენტის შენობის წინ მივიდოდნენ.

— ჩვენ ახლა აქედან მივდივართ რუსთაველზე, სადაც ასევე ჩვენი თანამოაზრეები არიან და იქ უკვე გვექნება საერთო მსჯელობა, სადაც ჩამოვაყალიბებთ სამოქმედო გეგმას.

ჩვენ აქ უბრალოდ გვინდოდა, ყველა ორგანიზაციულად შევკრებილიყავით, მაგრამ ვერ გავიგეთ, ამდენი სპეცრაზმი და პოლიცია აქ რისთვის დააყენეს, ცოტა უცნაურია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც კახეთში მოხდა, ეს არის იმ ფარდის სრული ჩამოხსნა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა. მათ აბსოლუტურად უკანონოდ შეგვიშალეს ხელი მშვიდობიან აქციაში, აბსოლუტურად უკანონოდ ჩახერგეს გზა, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

თბილისში დარჩენილებმა ნაფრონტალი მეგობრების დაბრუნებამდე დაიწყეს სამზადისი რუსთაველზე. მათ იქ კარვები მიიტანეს და მათი გაშლა დაიწყეს.

კახეთიდან ჩამოსულმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებას საქართველოს განრისხებული მოქალაქეების ეშინია:

— იმ უმსგავსობის შემდეგ, რაც კახეთში მოხდა, რუსთაველის გამზირზე მოვედით იმისთვის, რომ დავილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ შემდეგი მოქმედებების გეგმა. ძალიან ეშინიათ და ეშინიათ არა გაერთიანებული ოპო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სალომე ზურაბიშვილი: „მე ყველას პრეზიდენტი ვიქნები“

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ფიცი მაინც დადო და მოვალეობის შესრულებასაც შეუდგა. მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაცია თელავში, ერეკლე მეფის სასახლეში გაიმართა. სასახლესა და თელავს სპეცდანიშნულების რაზმები იცავდნენ.

ინაუგურაციას არ დასწრებია ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი ბიძინა ივანიშვილი. სამაგიეროდ, ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა წინა პრეზიდენტი მომდევნოს ინაუგურაციას დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ზურაბიშვილმა თავის გამოსვლაში ყველა წინამორბედი პრეზიდენტი ახსენა და ოთხივე მათგანის მიმართ სიმპათიები გამოხატა.

მისი თქმით, შემთხვევით არ მომხდარა, რომ საქართველოს პრეზიდენტი სწორედ ის გახდა.

– ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ას წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.

ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი დღეს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა, კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა, ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

მეფე ერეკლე იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის. მან შექმნა თანამედროვე ქართული ჯარი და გაიმარჯვა არაერთ ბრძოლაში. იგი საფუძველს უყრიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოს.

აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას.

აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, – საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ.

თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენ წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია, – განაცხადა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა.

იმ დროს, როცა ის სიტყვით გამოდიოდა, ოპოზიციას პოლიციასთან მუშტი-კრივი ჰქონდა გამართული. ზურაბიშვილის თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ქვეყანაში ეროვნულმა თანხმობამ დაისადგუროს.

– ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

მე გადავწყვიტე, დღეს აქ ჩამოვსულიყავი, აქ დამედო ფიცი და აქედან მიმემართა ფართო საზოგადოებისთვის, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც დამაკლდა მხარდაჭერა.





მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში. მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.

პატივს ვცემ მათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც ჩემს პრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით.

თუმცა, დღეიდან, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.



მისი თქმით, საამაყოა, რომ მოხდა პრეზიდენტის პოსტის გადაბარება მშვიდობიანი გზით, რაც დემოკრატიის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამბობს, რომ დემოკრატიული საქართველოს ასაშენებლად ყველა მისმა წინამორბედმა რაღაც გააკეთა.

– დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო: ერთი საუკუნის წინ პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს;

უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ, როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი; ედუარდ შევარდნაძემ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ;

მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას; გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა, – აღნიშნა მეხუთე პრეზიდენტმა.

სალომე ზურაბიშვილი პირობას დებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი.

მიაჩნია, რომ ქართველმა საზოგადოებამ მისი არჩევით კიდევ ერთხელ აირჩია ევროპული გზა.

– ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამ, უვიზო მიმოსვლამ ძალიან დიდი პერსპექტივები გაგვიხსნა. დასავლელი მეგობრებისგან, პარტნიორებისგან მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს.

ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქართველი ხალხის ნება – საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ. მე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი მეგობრების დახმარებით ხელს შევუწყობ ამ პროცესს. ამისათვის გამოვიყენებ მთელ ჩემს გამოცდილებასა და კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირში.

ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა. ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით, – აცხადებს ზურაბიშვილი.

ის ამაყობს იმით, რომ საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტია. არადა, მთლად პირველობა არ გამოუვიდა. ნინო ბურჯანაძემ ორჯერ შეასრულა პრეზიდენტის მოვალეობა.

თავის გამოსვლაში მან ოკუპაციაც ახსენა. ადამიანმა, რომელიც საქართველოს ომის დაწყებას სდებს ბრალად, განაცხადა, რომ ოკუპაციას არ შეეგუება.

– საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შევეგუებით, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ამბობს, რომ უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან.

– მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს, – ამბობს ზურაბიშვილი.

მან საგანგებოდ მიმართა შეიარაღებულ ძალებს და მათ სრული ნდობა გამოუცხადა. მან ავღანეთში ჩასვლის პირობაც დადო.

– მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა მთავარსარდალმა.

# გიორგი გახარია ნიკა მელიას დაჭერით დაემუქრა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ზიციისა და მასში შემავალი პარტიების, ეშინიათ საქართველოს განრისხებული მოქალაქის, იმიტომ, რომ ის კადრები, რომლებიც „რუსთავი 2“-მა აჩვენა ნათლად ამტკიცებს, რა უმსგავსობა იყო ჩადენილი ამ ვითომ არჩევნების დროს. ეს არჩევნები იყო? – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მისივე თქმით, ყველა იმ ფაქტზე, რომლებიც მოხდა არჩევნებზე და მის შემდგომ, ოპოზიცია აპირებს სამართლებრივ დავას.

21:00 საათისთვის რუსთაველის გამზირზე 8 კარავი იყო გაშლილი.



მიმდინარე მოვლენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთელი დღე სკაიპით ეხმაურებოდა. კახეთში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ მან ქართველ ხალხს რუსთაველის გამზირზე აქციის ჩატარებისკენ მოუწოდა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მთელი საქართველოს ფეხზე დგომით ეს ხელისუფლება აუცილებლად წავა.

– საქართველო ბოლომდე გააბანძეს, მაგრამ საქართველოს რეპუტაციის გადარჩენა, საქართველოს იმიჯის გადარჩენა ახლა ქართველი ხალხის ხელშია. ივანიშვილმა მოგვაყენა უზარმაზარი ზიანი, ამ ხროვამ, რომელიც მის გარშემოა, რომელიც დაგვცინის, თვალში ნაცარს გვაყრის, გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად არის და თურმე ეს ზიმბაბვეს რეჟიმი არის დემოკრატია.

ესენი აუცილებლად წავლენ. მათი წასვლა მხოლოდ შესაძლებელია თქვენი, ჩვენი ერთად დგომის პირობებში. მინდა, მოვუწოდო ხალხს, ყველა ჩვენს მომხრესა და არამომხრეს, პატრიოტს, საქართველოს ყველა მამულიშვილს სრული კონსოლიდაციისთვის, ეს ამათ არ უნდა შერჩეთ. ქართველი ხალხის არჩევანის მოპარვა, რომელიც არის კარგად დოკუმენტირებული, არსად მსოფლიოში არც ერთ რეჟიმს არ შერჩება ხოლმე და საქართველოშიც არ უნდა შერჩეთ.

ქართველმა ხალხმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. ამ ბრძოლაში მე ვარ თქვენთან ერთად. ახლა ყველანი რუსთაველზე. დღეს საღამოს, მე მგონი, კარგად უნდა გაეცეს პასუხი ამას. მაინც საბოლოო პასუხის გაცემა ხდება თბილისში, მთელი საქართველო უნდა დადგეს ფეხზე, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.



# „ზვიად გამსახურდიას მკვლელებს ხელს ივანიშვილი აფარებს“

## ცოტნე გამსახურდია: „ცდილობენ, დრო გაიყვანონ, რომ ეს საქმე დახურონ“

შორენა მარსაგიშვილი



**პირველი პრეზიდენტის შვილებმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყეს**

14 დეკემბერს ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიებმა მთავარ პროკურატურაში შიმშილობა დაიწყეს. მიმდინარე წლის 31 დეკემბერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობიდან 25 წელი გადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის გამო საქმე წყდება.

გამსახურდიების ადვოკატ ამირან გიგუაშვილის განცხადებით, საგამოძიებო უწყებას დღემდე არ ჩაუტარებია მთელი რიგი აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები.

– ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე, სპეცსამსახურების იმდროინდელი მაღალჩინოსანი, რომელსაც საქმეში ხელს ადებენ, როგორც პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორს, ჩემი, როგორც ადვოკატის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მხოლოდ გამოძიების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე დაიკითხა და გაჩნდა უამრავი შეკითხვა, რომლებზე პასუხებიც არ არის და ვერც მოესწრება ვადების ფაქტობრივი არარსებობის გამო, – აღნიშნავს ადვოკატი.

ამირან გიგუაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ 31 დეკემბრამდე პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე გაიხსნას.

– მე, როგორც ადვოკატს, მიმაჩნია, რომ დარჩენილ ორ კვირაში მთელმა სახელმწიფო სისტემამ, პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ყველა ძალოვანმა უწყებამ უნდა გააკეთონ ყველაფერი, რომ ეს საქმე გაიხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში 2018 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე სამუდამოდ შემოიდება თაროზე და ეს ყველას პასუხისმგებლობა იქნება.

ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც ამ მოცემულობაში დამრჩა, არის დგომა აქ, სადაც უსამართლობას ებრძვიან მოკლული პირველი პრეზიდენტის შვილები, – აღნიშნავს გიგუაშვილი.

ცოტნე გამსახურდიას არ სჯერა, რომ დარჩენილ ორ კვირაში ამ საქმის გამოძიება მოხდება, არც იმის იმედი აქვს, რომ ხელისუფლებაში სინდისს მათ მიერ გამოცხადებული შიმშილობა გააღვიძებს, მაგრამ ამბობს, რომ პროტესტი მაინც უნდა გამოეხატათ.

რას მოიტანს ეს შიმშილობა და ვინ მფარველობს პირველი პრეზიდენტის მკვლელებს? – ამის შესახებ ცოტნე გამსახურდია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– ცოტნე, თქვენ თქვენს უფროს ძმასთან ერთად მთავარ პროკურატურაში პროტესტის ნიშნად დაიწყეთ შიმშილობა. ამ ხელისუფლებას პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიება რომ სდომებოდა, აქამდე გამოიძიებდა და, აქედან გამომდინარე, თქვენი პროტესტი რაიმე შედეგს გამოიღებს?***

– ჩვენი მერკანტილური, ლაჩარი საზოგადოება ყოველთვის რაღაც ჯილდოს ელოდება, მიაჩნია, რომ მისი ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს პროტესტი თუ სხვა რამ, დაჯილდოვდება მყისიერი შედეგით. ცხოვრებაში ასე არ ხდება.

შენ ყველაფერი უნდა გააკეთო, რაც შენზეა დამოკიდებული და მერე რა იქნება, ეს უკვე შენი საქმე აღარ არის. მთავარია, შენ მოიქცე სწორად და შედეგი აუცილებლად დადგება. ეს შეიძლება შენი მონაწილეობის გარეშე დადგეს. იმასაც გააჩნია, ვის რა პრიორიტეტები აქვს. ჩემი პრიორიტეტი არ არის ის, რომ მყისიერი შედეგი მივიღო. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია, ეგ არის და ეგ.

დღეს მთელი ერი მუთაქაშია თავჩარგული. ამასობაში ხალხი საქართველოდან გარბის. ქვეყანაც მცირდება და მისი მოსახლეობაც. მე ცხოვრების ასე გაგრძელებას მიჩვეული არა ვარ. როგორც უკვე გითხარით, უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია.

შედეგს რაც შეეხება, ძალიან კარგად ვიცი, სადაც ვცხოვრობ და არავითარი ილუზიები არ გამაჩნია.

***– კარგად მესმის თქვენი, მაგრამ რატომ უნდა იშიმშილოთ და დასუსტდეთ? არ ჯობია, კარგად იყოთ და ასე იბრძოლოთ სამართლიანობისთვის? ამათ შიმშილობით ნამუსზე ვერ ააგდებთ.***

– ამათ ნამუსზე აგდებას არც ვაპირებ. ან რას ეძახით კარგად ყოფნას, ფიზიკურად რომ კარგად ვიყო? ეს არ არის კარგად ყოფნა.

***– ციხეში ყოფნის დროს საკმაოდ შეგერყათ ჯანმრთელობა და შეიძლება თქვენთვის შიმშილობა?***

– რას იზამ, ცხოვრებაში უარესებიც ხდება ხოლმე.

***– უკვე წლებია, ითხოვთ მამის მკვლელობის გამოძიებას. რატომ ჭიანურდება ეს პროცესი?***

– რატომ და დროის გაყვანა უნდათ. 31 დეკემბერს გასდის ხანდაზმულობის ვადა, რის შემდეგაც საქმეს დახურავენ. უკეთესი გზა ვერ მონახეს. მათ მაგივრად მე ვერ გიპასუხებთ.

ფაქტია, რომ პირველი პრეზიდენტის მკვლელს თუ დამკვეთს ხელს აფარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმის გამოძიება მოხდებოდა.

რატომ აფარებენ მკვლელს ხელს, ეს არ მკითხოთ, ამ კითხვის გამო ერთ ჟურნალისტს უკვე ვეჩხუბე. ეს კითხვა მთავარ პროკურორსა და ბიძინა ივანიშვილს უნდა დაუსვათ. მკვლელებს ისინი მფარველობენ.

ამ თემაზე ჩემი მოსაზრებები მაქვს, მაგრამ ვარაუდებისა და ეჭვების დონეზე ხომ ვერ ვილაპარაკებ. ფაქტია, რომ საქმეში ყველანაირი მასალა და სამხილი არსებობს. ჩვენ და ჩვენმა ადვოკატმა რა ვქნათ, მივუთითოთ, როგორ გააგრძელონ საქმე? ბარემ ჩვენ დაგვნიშნეთ საქმის გამომძიებლად.

არაერთხელ მივუთითეთ, თუ ვისი დაკითხვა უნდა მომხდარიყო. მათ ან არ კითხავენ, თუ კითხავენ, ასეთი მანერით – თქვენ მოკალით გამსახურდია? როგორ გგონიათ, მკვლელი იტყვის, მე მოვკალიო?!

***– ამ კითხვის გამო არ მეჩხუბოთ, მაგრამ შიმშილობის დასაწყებად ცუდი დრო ხომ არ შეარჩიეთ? – მთელი ხელისუფლება ზურაბიშვილის ინაუგურაციაზეა გადართული და პირველი პრეზიდენტი არავის ახსოვს.***

– რადგან იმ ქალის ამბებზე არიან გადართული, რა ვქნა, პროტესტი არ გამოვთქვა? შიმშილობა იმისთვის არ დამიწყია, რომ მათი ყურადღება მივიპყრო. 5 კილო კარტოფილზე გაყიდულ ხალხზე რომ ზემოქმედებას მოვახდენ, ამის იმედი არც მაქვს.

# „კოალიციური მთავრობა გარდაუვალია“

## ლევან ალაფიშვილი: „მაჟორიტარები კვლავ შეეცდებიან თავიანთი საფაშოების შენარჩუნებას“

ნათია ხურცილავა



კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, როგორ შეიძლება, პოლიტიკური პროცესი განვითარდეს მას შემდეგ, რაც ვიხილეთ?***

– ამ საპრეზიდენტო არჩევნებმა გამოაჩინა ის განწყობა, რომელიც რეალურად საზოგადოებაში არის და ეს განწყობა კიდევ ერთხელ დადასტურდა გუშინ. ეს განწყობა არ არის მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლო. ეს განწყობა ადასტურებს, რომ საქართველოში ორ საპარლამენტო ვადაზე მეტს ხალხი არც ერთ მთავრობას არ აძლევს მანდატს, მით უმეტეს, „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაღმავალია და ეს ამ არჩევნების პირველმა ტურმაც დაადასტურა.

რაც შეეხება იმ განცხადებებს, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ, საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ ეს ადამიანები არ არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები. გასაგებია მათი პოზიცია, მათ უნდათ, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ პერსონალურ მნიშვნელობას, მათ უნდათ, საზოგადოებაში ყოჩაღად გამოჩნდნენ, მაგრამ საზოგადოებამ მათზე უკეთესად იცის, ვინ არის ყოჩაღი და რას აპირებს.

***– ვის გულისხმობთ?***

– თავად საზოგადოებას, ამომრჩეველს.

რას ითხოვს დღეს ოპოზიცია? საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. თუ საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, თანმიმდევრული იქნება და დემოკრატიული გზით ივლის, ეს ყველაფერი მიღწევადია.

აქ არ უნდა იყოს წამყვანი ვიწროპარტიული ინტერესები, არ უნდა იყოს სუბიექტური დამოკიდებულებები, რაც შესაძლებლობას იძლევა კულუარული ვაჭრობის და ა.შ. ეს ყველაფერი ჩვენ არაერთხელ გვინახავს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანება არსებულა და შემდეგ უკვე ხელისუფლებას მიუღწევია ამ კულუარული მოლაპარაკებებითა თუ ვაჭრობით იმისთვის, რომ ეს ერთობაც გამქრალიყო და საკითხიც ჰაერში გამოკიდებულიყო ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე.

ახლა ყველაზე მთავარი ოპოზიციისთვის არის პრინციპულობა, თანმიმდევრულობა და ვიწროპარტიულ და სუბიექტურ ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესების დაყენება.

***– დღეს ხელისუფლება გამარჯვებულია და სწორედ ამ პოზიციიდან საუბრობს. ამიტომ, რამდენად დათმობს თავის პოზიციებს, რომ ეს მას არ ჩაეთვალოს თუნდაც უკანდახევაში?***

– მმართველი პოლიტიკური ძალაც პოლიტიკური ძალაა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით და ის ყოველთვის ვერ იქნება მმართველი ძალა. პარტია „ქართული ოცნების“ შიგნით არ არის ერთიანობა. ეს პარტიის თავმჯდომარემ ღიად გვითხრა, როდესაც პარტიაში დაბრუნდა.

პარტიის შიგნით რამდენიმე დაჯგუფება არსებობს, რაც კარგად გამოჩნდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის განხილვის დროს, როდესაც დღის წესრიგში მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება დადგა. მაშინ პარტია „ქართული ოცნება“ ლამის დაიშალა. ეს ადამიანები, რომლებსაც პარლამენტის მანდატი ჯიბეში უდევთ, დღესაც არსად წასულან, ამიტომ ეს ხალხი მმართველი ძალისთვის დღესაც შეიძლება პრობლემა გახდეს. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ „არც არაფერს შევცვლით“ – ეს პოზაა საზოგადოების წინაშე.

ვინ იცის, ამ ყველაფრის გათვალისწინებით როგორ წარიმართოს ან განვითარდეს მოვლენები შიგნით?! თუმცა, გარედან წნეხი იქნება საჭირო, რადგან მაჟორიტარები კვლავ შეეცდებიან თავიანთი საფაშოების შენარჩუნებას.

***– გამორიცხავთ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ივანიშვილმა თავად დანიშნოს?***

– არა, გამორიცხვით ვერაფერს გამოვრიცხავ პოლიტიკაში და მით უფრო – ქართულ პოლიტიკაში. სტრატეგიული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები „ქართულ ოცნებას“ დღეს ყველაზე მეტად აწყობდეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, არ ვიცი, მაგრამ, როგორც კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღების დროს ათამაშეს კუნთები და არჩევნების მეორე ტურზე რაც გააკეთეს, თუ ამას აპირებენ, მაშინ ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება. ასეთ ვითარებაში განაჩენი ყოველთვის ამომრჩეველს გამოაქვს. ამომრჩევლის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა კი ამ ქვეყანაში არის ის, რომ 2 საპარლამენტო ვადაზე მეტს, 8 წელზე მეტს, არც ერთ ხელისუფლებას არ აძლევს მანდატს.

***– კოალიციური მთავრობის შანსი რამდენია?***

– კოალიციური მთავრობა, ჩემი პროგნოზით, გარდაუვალია, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა – სატელიტი პარტიების გაძლიერების საფრთხე, რომლის მაგალითებიც ახსოვს საქართველოს უახლეს პოლიტიკის ისტორიას.

მე არ გამოვრიცხავ, სწორედ ამ ტაქტიკით ითამაშოს მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ. მაგრამ გამოადგება კი ეს სტრატეგია, საკმაოდ დიდი კითხვის ქვეშ დგას, რადგან ამ გზით მთავრობის შენარჩუნება და ყველა დონეზე ხელისუფლების გაკონტროლება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.



# სუსმა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ადვოკატი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ადვოკატი რამაზ რ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რამაზ რ. ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს თითქოსდა საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით, საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა 10.000 აშშ დოლარის გადახდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა რამაზ რ. მოთხოვნილი თანხის გადაცემის დროს ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლებას აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# რა საგარეო სირთულეები ელის საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს?

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ხელი შეუწყოს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში.**

ფორმალურად, ამ განცხადებებში ახალი არაფერია და, წესით, რაც დრო გადის, საქართველო უფრო დაახლოებული უნდა იყოს ამ დასავლურ სტრუქტურებთან. სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ასრულებს გაწევრიანებისათვის აუცილებელი მოთხოვნების დიდ ნაწილს, წევრობა ახლო მომავალში არ გამოვა, არც ევროპასთან დაახლოების ნიშნები იკვეთება. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა კი მკაცრი დემოკრატიული სამყაროს შეფასება დაიმსახურა.

აშშ-სთან საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობაში ბზარია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლებამ დაიწუნა აშშ-ის ელჩ ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურა. თუმცა, ამაში ამერიკის მხარე სალომე ზურაბიშვილს ვერ დაადანაშაულებს.

სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება დაემთხვა იმ დროს, როცა აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია და ორივე მათგანი აქტიურია პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით – სამხრეთ კავკასიაში. ამ გეოპოლიტიკურ გაურკვევლობაში მიდგომებს იცვლიან რეგიონის ქვეყნების ლიდერები.

ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა სივრცეში ალიანსის წევრობის შესაძლო კანდიდატები არიან საქართველო და უკრაინა. ნატოს კიდევ ერთი მოკავშირე – მოლდოვა – ნეიტრალური სახელმწიფოა და ის ალიანსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის საფუძველზე თანამშრომლობს. დაახლოებით ორი კვირის წინ გამოქვეყნებული გამოკითხვის თანახმად, თუ ნატოს შესახებ რეფერენდუმი ჩატარდება, გამოკითხულთა 60%-ზე მეტი მხარს არ დაუჭერს მოლდოვის შესვლას ნატოში.




პროდასავლურად მიჩნეული სომხეთის პრემიერი ნიკოლ პაშინიანი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ერევანი ნატოში შესვლისკენ არ მიისწრაფვის.

რუსეთის ძველი მოკავშირე ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო კი ნატოს მხარდამჭერ განცხადებას აკეთებს. მისი სიტყვებით, ჯობია, უკრაინაში გარეწარი ნაციონალისტების მაგივრად ნატო იდგეს.

პუტინის გარემოცვა მოუწოდებს ლუკაშენკოს, მკაფიოდ თქვას, უკრაინის მხარესაა თუ რუსეთთან დგას.

ნატოში შესვლის რეალური კანდიდატია მაკედონია. სახელის გამოცვლის შემდეგ, ჩრდილოეთი მაკედონიის სახელით, მას იღებენ ნატოშიც და ევროკავშირშიც.

სახელის გამო საბერძნეთთან შეთანხმება მიღწეულია, თუმცა, მაკედონიას ენასა და ისტორიაზე ბულგარეთიც ედავება. არ არის გამორიცხული, რომ ამ უთანხმოებაშიც რუსეთის ხელი ურევია.

მოსკოვი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის შესვლას ნატოში, არამედ, ალიანსის გაფართოებას ბალკანეთშიც. რუსეთისთვის მაკედონიის ნატოში წევრობა მიუღებელია.

ევროკავშირში მიღების შანსი აქვთ მაკედონიასა და ალბანეთს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო აცხადებს, რომ მაკედონიის შესვლა ნატოში რეგიონს დაიცავს რუსეთის ბოროტი განზრახვებისგან.

ნატოში ამერიკის წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთი, ნატოში განხეთქილების შეტანის მაგივრად, მას აძლიერებს. ამის მაგალითია ნატოს წევრი ქვეყნების 29 მინისტრის ერთსულოვნება. ყველა თანხმდება, რომ რუსეთი არღვევს მცირე და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებას.

ანალიტიკოსები დიდი ხანია აცხადებენ, რომ ამ სფეროში კონტროლის შესუსტება ან არარსებობა დიდმასშტაბიანი ომის საფრთხეს ქმნის.

# სიმონ ნოზაძე: „კოაბიტაცია თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი და უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე სიმონ ნოზაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ნიკა მელიას უნდა, უმრავლესობა შეგვიყვანოს იმ პროცესში, სადაც თვითონ კარგად გრძნობს თავს.

***– ბატონო სიმონ, მაინტერესებს თქვენი აზრი პარლამენტში ნიკა მელიასა და ირმა ინაშვილს შორის კონფლიქტის შესახებ.***

– დიდ კომენტარს ნუ გამაკეთებინებთ, მაგრამ, მე მგონია, რომ ნიკა მელიას უნდა, შეგვიყვანოს იმ პროცესში, სადაც თვითონ კარგად გრძნობს თავს. შეგვიყვანა კიდევაც. ამგვარ ექსცესებს არ უნდა ავყვეთ. მას ეს სტილი აქვს არჩეული. უმრავლესობა ვალდებულია, ბევრი რამ მოითმინოს.

***– რატომ ვერ ახერხებს უმრავლესობა, თავი აარიდოს ასეთ ინციდენტებს?***

– უმრავლესობამ თავის მიმართ და ბატონი ირაკლის მიმართ გამოთქმულ არაადეკვატურ შეფასებებზე არ მისცა მძაფრი რეაქცია, მაგრამ ქალბატონმა ირმა ინაშვილმა რომ ცადა, თავისი უფლების დაცვა, ნიკა მელია ხელს რომ უშლიდა და მივიდა, შემდეგ ამან გამოიწვია დაპირისპირება.

ქალთან დაკავშირებულმა ნიკა მელიას ერთგვარმა არასწორმა ქმედებამ გააღიზიანა უმრავლესობა. ამგვარ არასწორ და არაკორექტულ გამოსვლებს არ უნდა ვუპასუხოთ. მე ასე მგონია. უმრავლესობას მეტი პასუხისმგებლობა მოგვეთხოვება.

***– ანუ ნიკა მელიას განცხადებებს პასუხი არ უნდა გაეცეს?***

– მკაცრი პასუხი უნდა გაეცეს, მაგრამ – აკადემიური, ან ტრიბუნიდან, ან 2-3– წუთიანი გამოსვლების დროს. მკაცრად უნდა შეფასდეს. შეიძლება, განცხადებაც გაკეთდეს, მაგრამ იმ პროცესში არ უნდა შევყვეთ, სადაც ოპონენტი ძლიერია.

ჩემი აზრით, ნაციონალებს თავიანთი სტრატეგია აქვთ შემუშავებული და იმ სტრატეგიის ერთ-ერთი ტაქტიკური სვლა ეგეც არის. ჩვენ ჩვენი სტრატეგია გვაქვს და ტაქტიკაც ჩვენი უნდა გვქონდეს. ჩვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება და თავშეკავება გვმართებს.

***– მელიას ამ მეთოდმა შეიწირა გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობა.***

– შეიძლება, სხვა მიზეზებიც იყო, მაგრამ გაგახსენებთ შარშან 21 დეკემბერს ჩემს გამოსვლას, როცა ბატონ ნიკას მე ვუთხარი სათქმელი, შევაფასე მისი გამოსვლა. იქ ნიკა მელიას ბევრ რამეს ვეუბნები.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მელიამ პროვოკაცია მოაწყო.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ არ უნდა ავყვეთ. მე ეს პოზიცია მიკავია.

***– იმ დღეს საქართველოში იმყოფებოდა ჯეიმს აპატურაი. მის განცხადებაში ერთგვარი მითითებაც ამოვიკითხე – იმედი მაქვს, მხარეები ითანამშრომლებენო. ალბათ, აინტერესებდა, საქართველოს შიდა პოლიტიკაში რა ხდებოდა,***

– „ქართული ოცნება“ თანამშრომლობისთვის მზად რომ არის, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, გააჩნია, რა სფეროში, რა საკითხებზე. ადრე ქალბატონი ნინო ლომჯარიას დანიშვნის დროს, რომელსაც კერძო საუბრებში ნაციონალები და „ევროპული საქართველოც“ მხარს უჭერდნენ, ვერ გამოვნახეთ საერთო ენა და სახალხო დამცველი უმრავლესობამ დაამტკიცა.

ანუ იმ სფეროშიც ვერ ვითანამშრომლეთ, რომელშიც თანამშრომლობის ველი არსებობდა. თანამშრომლობა მათზეც არის დამოკიდებული. ჩვენ მზად ვართ, მაგრამ, თუ გვითხრეს, ხელისუფლება უნდა დათმოთ და ახალი არჩევნები უნდა ჩაატაროთო, ქვეყანა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად არ არის. ამ სფეროში ოპოზიციასთან ვერ ვითანამშრომლებთ. სად შეიძლება თანამშრომლობა, მათ უნდა განსაზღვრონ.



ოპოზიციას უნდა სანახაობის მოწყობა, ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გადმობრალება დღევანდელ ხელისუფლებაზე. თვითონ კოაბიტაცია ჩემთვის მისაღები იყო იმ ფორმით, რომ არ გაგვეთავისუფლებინა ყველა ხელისუფლების დაბალ რგოლებში. ვინც დანაშაული ჩაიდინა, მან პასუხი უნდა აგოს. 80 კაცზე მეტი გასამართლებულია, სასჯელი მისჯილი აქვს. მათ შორის არის ხალხი, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ მათ სასჯელის ზომა შეფარდებული აქვთ. ვინც დანაშაული ჩაიდინა, ვინც დანაშაულების ორგანიზატორი იყო, უნდა დაისაჯონ. კოაბიტაცია თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ.

# ვახუშტი მენაბდე: „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა მას შემდეგ გახდება, რაც ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი აღარ ეყოლება“



– საქართველო 2024 წლამდე ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად რჩება – ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც მას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი აღარ ეყოლება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტმა ვახუშტი მენაბდემ განუცხადა.

მენაბდის თქმით, მმართველობის მოდელი, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზით ხვდება პრეზიდენტი თანამდებობაზე.

– საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც ქვეყანას პირდაპირი ლეგიტიმაციით, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი აღარ ეყოლება. ეს 2024 წელს მოხდება. იქამდე ჩვენ ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად ვრჩებით, სადაც პრეზიდენტის როლი არის მინიმალიზებული და მთავარი პოლიტიკური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ყოველდღიურ პოლიტიკაში არ ერთვება და ქვეყანას მთავრობის თავმჯდომარე მართავს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ვახუშტი მენაბდემ.

მენაბდის შეფასებით, ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ის, რომ ძალაუფლების ვერტიკალი მთლიანად დამოკიდებულია მმართველ გუნდზე.

– მმართველი გუნდი ერთის მხრივ მოიცავს საპარლამენტო უმრავლესობას, ხოლო მეორეს მხრივ – საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ მთავრობას. ამ პირობებში ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი აღარ მუშაობს. მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთის საპირწონეებად ვერ გამოდგებიან, რადგან ისინი ერთი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები არიან. ეს ძალთა ბალანსი ამგვარი ტიპის სახელმწიფოებში ძალიან მყიფეა. ამიტომ პოლიტიკურმა სამართალმა და კონსტიტუციურმა თეორიებმა ამ ვითარებიდან გამოსავალი შეიმუშავა. მან სიმძიმის ცენტრი დააფუძნა არა საპარლამენტო უმრავლესობაზე, არამედ საპარლამენტო ოპოზიციაზე.

ამდენად ამ ტიპის ქვეყნებში, სადაც არის სუსტი პრეზიდენტი, ხელისუფლების დანაწილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია მნიშვნელოვანი უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი. ამ თვალსაზრისით კონსტიტუციამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხოლო რეგლამენტის რეფორმამ ახალი ინსტრუმენტები დაუმატა, – აღნიშნა ვახუშტი მენაბდემ.

პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ძალაში ახალი რედაქციის კონსტიტუცია შევიდა. საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში 2017 წელს განხორციელდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი კობახიძე: „სალომე ზურაბიშვილი იქნება ღირსეული პრეზიდენტი“

– 16 დეკემბერი ორმაგად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის!

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თელავში განაცხადა, სადაც პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო. ირაკლი კობახიძემ სალომე ზურაბიშვილს წარმატებები უსურვა. პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი იქნება.

– მსურს, სალომე ზურაბიშვილს დიდი წარმატებები ვუსურვო. მინდა, რომ ის იყოს ძალიან წარმატებული თავის პოზიციაზე და დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება. ის იქნება საქართველოს ღირსეული პრეზიდენტი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღესვე ამოქმედდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობის სისტემა დამყარდება და ავტოკრატიის დაბრუნება შეუძლებელი გახდება.



– ამოქმედდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც დამყარდება საპარლამენტო მმართველობის სისტემა და ამ კონსტიტუციის პირობებში, შეუძლებელი იქნება საქართველოში პროცესების ისე განვითარება, როგორც განვითარდა 90-იან წლებში და მოგვიანებით, ანუ შეუძლებელი იქნება საქართველოში ავტოკრატიის დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ორმაგად მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის, – განუცხადა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი გაბუნია: „ახალი პრეზიდენტის გუნდის წარდგენა მიმდინარე კვირაში იქნება“



იურისტი დიმიტრი გაბუნია ადასტურებს, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად მის დანიშვნასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. როგორც გაბუნიამ ჟურნალისტებს განუცხადა, გუნდის წარდგენა იქნება მიმდინარე კვირაში.

– დღეის მდგომარეობით ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. გუნდის წარდგენა იქნება მომავალ კვირაში და ყველაფერს გაიგებთ. არ უარვყოფ, რომ არის საუბარი ჩემს საპარლამენტო მდივნად დანიშვნასთან დაკავშირებით. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სალომე ზურაბიშვილმა, – განაცხადა გაბუნიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა კახიშვილის განცხადებით, მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები ღონისძიების გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯები ღონისძიების გამართვის შემდეგ გახდება ცნობილი, – ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა და პრეზიდენტის საინაუგურაციო კომისიის ხელმძღვანელმა კახა კახიშვილმა ჟურნალისტებს თელავში განუცხადა, სადაც ღონისძიებისთვის მზადება მიმდინარეობს. როგორც კახიშვილმა აღნიშნა, ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმში ინაუგურაციის ღონისძიების გამართვის შემდეგ, საზეიმო მიღება თელავში, თეატრის შენობაში გაიმართება.

– აქ ბრძანდებოდა ახლად არჩეული პრეზიდენტი. ფაქტობრივად, ჩატარდა წინასაინაუგურაციო რეპეტიციაც და ვფიქრობ, ინაუგურაცია ნორმალურად ჩაივლის. მე ვერ გეტყვით კონკრეტულად სალომე ზურაბიშვილის შთაბეჭდილებებს, ალბათ, ამაზე თავად სალომე ზურაბიშვილს უნდა ჰკითხოთ. ტრიბუნები აწყობილია, ყველაფერს ვასწრებთ და ინაუგურაცია ჩაივლის ლამაზად და მშვიდად. ვერაფერს მოგახსენებთ თბილისთან დაკავშირებით, მე პასუხისმგებელი ვარ თელავში ინაუგურაციის ჩატარებაზე. თბილისის ლოკაციის ღონისძიებაში ჩვენ არ ვიყავით ჩართული. სალომე ზურაბიშვილის შტაბი იყო ამის ორგანიზებაში ჩართული. რაც შეეხება ბიუჯეტს, ჯერ დაზუსტებული არ არის. თქვენთან მოსვლამდე ვესაუბრე კონტრაქტორ ფირმას და ბიუჯეტთან დაკავშირებით კითხვებზე ინაუგურაციის შემდეგ გიპასუხებთ, – განაცხადა კახიშვილმა.



რაც შეეხება ინაუგურაციაზე სტუმრებს, როგორც კახიშვილმა აღნიშნა, სიები კიდევ დგინდება.

– სტუმრებთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსგან გვაქვს ინფორმაცია, რომ დაახლოებით 150-მდე ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრება ინაუგურაციის პროცესს. შემიძლია გითხრათ, რომ იქნება სომხეთის პრეზიდენტი, ასევე რამდენიმე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-პრემიერები და სხვა სტუმრები. იმ ადამიანებს, რომლებსაც ექნებათ მოსაწვევები, ღონისძიებას დაესწრებიან თელავის თეატრში. სიები მოგვაწოდა სალომე ზურაბიშვილის შტაბმა, ასევე ვთხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კახეთის გუბერნატორს და თელავის მერს, რომ მოგვაწოდონ ეს სიები. მაგრამ ისიც გასაგებია, რომ ამ ტერიტორიაზე შესაძლოა ბევრი ადამიანი არ დაეტიოს. მცდელობა იყო, რომ ადამიანების მაქსიმალური ჩართულობა ყოფილიყო. მეორე ლოკაცია იქნება საზეიმო მიღება თელავის თეატრში, ასევე ვიხილავდით წინანდალს, თუმცა წინანდალში მიღება არ იქნება. საინაუგურაციო კომისიაში წინანდლის საკითხი არ იხილება, – განაცხადა კახიშვილმა და დასძინა, რომ სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციის შემდეგ ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში შევა.

# ტყუის თუ არა ამერიკული ჟურნალი Foreign Policy?

## სადავო საკითხი საქართველოში აშშ-ის ელჩის დანიშვნაზე

როგორც ცნობილია, 10 დეკემბერს აშშ-ის ცნობილ საგარეოპოლიტიკურ ჟურნალ Foreign Policy-ში გამოქვეყნდა სტატია საქართველოს შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველო არ იწონებს აშშ-ის ელჩის ახალ კანდიდატურას თბილისში და რომ ამის მიზეზი ელჩობის კანდიდატ ბრიჯიტ ბრინკის სიმპათიებია მიხეილ სააკაშვილისადმი.

„ამერიკის ხმის" რუსული სამსახური აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე უარყო Foreign Policy-ის პუბლიკაციის მტკიცება და განაცხადა, რომ სტატიაში მოყვანილი „ფაქტები" სინამდვილეს არ შეესაბამება. მსგავსი განცხადებები გააკეთეს აგრეთვე მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმაც: გია ვოლსკის თქმით, საქართველოს არანაირი რესურსი და სურვილი არ აქვს, აშშ-ის ელჩის დანიშვნა დაბლოკოსო. თბილისის მერმა კახა კალაძემ Foreign Policy-ის ინფორმაციას „ჭორები" უწოდა. იმავდროულად ოპოზიციურ პარტია „ნაცმოძრაობაში", რომლის ლიდერი მიხეილ სააკაშვილია, აცხადებენ, რომ ჟურნალის სტატია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. პარტია „ევროპულმა საქართველომ" კი აღნიშნა, რომ თუ ფაქტები დადასტურდება, მაშინ საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ჩრდილი მიადგება.

„ამერიკის ხმის" რუსული სამსახურის თბილისელი კორესპონდენტი ნესტან ჩარკვიანი ესაუბრება ქართველ ექსპერტებს:

– გია ხუხაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მრჩევლად მუშაობდა იმ დროს, როცა მილიარდერს პრემიერ-მინისტრის პოსტი ჰქონდა დაკავებული, „ამერიკის ხმის" რუსულ სამსახურთან საუბრისას ამბობს, რომ



ბიძინა ივანიშვილს უცხოელ პარტნიორებთან მსგავსი დამოკიდებულება არ ახასიათებს, როგორც ამას ჟურნალის სტატიის ავტორები წერენ. „მე ძალიან გამიკვირდებოდა, თუ ბიძინა ივანიშვილი მართლაც წინააღმდეგობას უწევს ამა თუ იმ ქვეყნის ელჩის დანიშვნას, – ამბობს გია ხუხაშვილი, რომელიც თვითონ აღმოჩნდა მილიარდერის კრიტიკის ობიექტი, რის შემდეგაც მათი გზები გაიყარა.

თბილისი სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ამერიკის ხმის" რუსულ სამსახურის კორესპონდენტთან აღნიშნავს, რომ აშშ-ის ელჩის დანიშვნასთან დაკავშირებით სიტუაცია მან ჯერ კიდევ Foreign Policy-ის პუბლიკაციამდე იცოდა ერთ-ერთი მაღალჩინოსნისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტოლოგს ეჭვი არ შეაქვს გამოქვეყნებულ მასალის ნამდვილობაში, მას მაინც არ სჯერა, რომ ამ „გაუგებრობის" ინიციატორი ბიძინა ივანიშვილია.

– ბიძინა ივანიშვილს არ აწყობს, გააფუჭოს ურთიერთობა აშშ-სთან, რომლის ყოფნა საქართველოში აუცილებელია რუსეთის საპირწონედ,



რომლის მიმართაც, როგორც მე ვფიქრობ, მილიარდერს პანიკური შიში აქვს. შესაბამისად, ამ სკანდალის უკან ქართული მხარისაგან დგანან ან მისი პარტიის ხალხი, რომლებიც ცდილობენ ბიძინა ივანიშვილს ზიანი მიაყენონ, ან „კეთილისმსურველები", რომლებმაც საკუთარი ინიციატივით რაღაც უნიჭო და, იმავდროულად, სახიფათო სპექტაკლი წამოიწყეს, – ასე თვლის თორნიკე შარაშენიძე.



# ზურაბ ჯაფარიძე: „ავლაბრის სასახლე უნდა გაიყიდოს, პრეზიდენტის სასახლე კი ქუთაისში უნდა იყოს"

„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის აზრით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლე არა თბილისში, არამედ ქუთაისში უნდა იყოს. ამის შესახებ ჯაფარიძემ ქუთაისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავლაბრის სასახლე საერთოდ უნდა გაიყიდოს. ჩემი აზრით, პრეზიდენტის სასახლე არა თბილისში, არამედ ქუთაისში უნდა იყოს, – განაცხადა ჯაფარიძემ.

– ჩვენი პოლიტიკური პარტია არ უერთდება ამ აქციას. ოპოზიციას კი შეკრებისა და გამოხატვის უფლება აქვს. ვიმედოვნებ, რომ ამ აქციის მიზანი არ არის ის, რომ რაღაც დაპირისპირება მოხდეს, – განაცხადა ჯაფარიძემ.

**მედიანიუსი**

# როსტომ ჩხეიძე: „როგორ შეიძლება, აქამდე მიგვეყვანა საქმე, რომ ზვიად გამსახურდიას შვილები საქართველოს პროკურატურის მისაღებში საშიმშილოდ დამსხდარიყვნენ"

მწერალი როსტომ ჩხეიძე გამოეხმაურა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილების, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიების გადაწყვეტილებას პროკურატურის მისაღებში შიმშილობის დაწყებასთან დაკავშირებით.

– როგორ შეიძლება, აქამდე მიგვეყვანა საქმე – ზვიად გამსახურდიას შვილები, კონსტანტინე და ცოტნე, საშიმშილოდ დამსხდარიყვნენ საქართველოს პროკურატურის მისაღებში, ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად გამოიძიეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობაო.

ოფიციალურად, თორემ ყველაფერი უკვე გარკვეულიცაა და დადასტურებულიც – მხოლოდღა პროკურატურის დასკვნა აკლია.

აქამდე მისულიყო საქმე და... სასიკეთო და სანუგეშო მაინც არა ჩანს, რა. ეს ყოველივე ჩვენი საზოგადოების ბრალია, ჩვენი უპატიებელი დანაშაული, ხელისუფლებამ საშველი რომ არა და არ დააყენა სიმართლის ოფიციალურ გამოცხადებას.

ზვიად გამსახურდია ხომ მარტო თავისი შვილების მამა არ არის, არამედ მამა იმ ახალამოგებული სახელმწიფოსი, რომელშიაც ვცხოვრობთ და დიდი იმედებითაც მივისწრაფვით, საკაცობრიო ცხოვრების უშუალო მონაწილენი რომ გავხდეთ.

ეს სახელმწიფო მან კიდეც შექმნა და თავისი სისხლითაც დაჰკირა, სისხლით, რომელიც – აშოტ კურაპალატის მკვლელობისა არ იყოს – აწცა იხილვების ვითარცა ახალი.

ამ მკვლელობის ოფიციალურ გამოცხადებას საშველი არც დაადგება, ვიდრე ეს ხელისუფლება, ეს ოდიოზური პოლიტიკური სისტემა არ გადაილეკება, მერე კი დადგება ხანა პირუთვნელი მსჯავრისა ყველასა და ყველაფრის მიმართ, და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ოფიციალური ვერსიაც იქნება ისეთი და მხოლოდ ისეთი, რაც გონიერ ადამიანებს ისედაც კარგად მოეხსენებათ.

უილიამ შექსპირისა არ იყოს:

ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,

თუნდ დასაფარად დედამიწა გადაეფაროს!.., – დაწერა ჩხეიძემ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე.

**მედიანიუსი**

# გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში სახელმწიფო ჯილდოებით სულ 767 ადამიანი დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელების 5-წლიან პერიოდში სახელმწიფო ჯილდოებით სულ 767 ადამიანის ღვაწლი აღნიშნა.

საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული გმირის წოდება სიკვდილის შემდეგ მიანიჭა: წითელი ჯვრის მოწყალების დას მარო მაყაშვილს, საქართველოს უშიშროების პოლკოვნიკს მამია ალასანიასა და სოხუმის მერს, პოლკოვნიკ გურამ გაბესკირიას სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა ერთადერთხელ გამოიყენა თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების უფლებამოსილება და აღნიშნული სახელმწიფო ჯილდო ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის, გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამოქალაქო თავდადებისათვის ირინა ენუქიძეს (სიკვდილის შემდეგ) მიანიჭა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ოქროს საწმისის ორდენი გადაეცა 25 უცხოელს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული



მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. მათ შორის არიან: აშშ-ის თავდაცვის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ენდრიუ ვებერი, ევროპარლამენტის წევრი იოჰანნეს კორნელის ვან ბალენი,ჰჰალილზად ჲსსოციატეს-ის პრეზიდენტი ზალმაი მამოზი ჰალილზადი, ღუმსფელდ ოუნდატიონ-ის ხელმძღვანელი დონალდ რამსფელდი, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ჟან ივ ლე დრიანი, კომპანია „გილიად საიენსის" აღმასრულებელი თავმჯდომარე ჯონ მარტინი, მაკკეინის ინსტიტუტის საერთაშორისო ლიდერობისათვის აღმასრულებელი დირექტორი კურტ ვოლკერი, ამერიკის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტი დეიმონ უილსონი, სენატში საფრანგეთ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ალენ გურნაკი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი პატრიკ ჯოზეფ ჰიკი, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რუპინი ჰენრი გოდფრი კერალი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ატაშე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებში ხუან ხოსე ეჩანოვე, აშშ-ის სახმელეთო ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ფედერიკ ბენ ჰოჯესი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო, ავღანეთში განლაგებული აშშ-ის ძალების სარდალი, გენერალი ჟოზეფ დანფორდი (უმცროსი), აშშ-ის ქვეითი საზღვაო ძალების მეთაური, გენერალი ჯეიმს ფ. ამოსი, საქართველოს საპატიო კონსული პარაგვაის რესპუბლიკაში კონრადო პაპალარდო სალდივარი, ISAF-ის გაერთიანებული სარდლობის ოპერატიულ – ტაქტიკურ დონეზე მართვის ხელმძღვანელი, გენერალ – ლეიტენანტი ჯოზეფ ანდერსონი, სტამბოლის ქართული კულტურის სახლის დამფუძნებელი ერდალ ქუჩუქი (ელიზბარ ცივნარიძე), მწერალი ქევსერ რუჰი (ქეთევან ხანთაძე), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუე ბინი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობის მეთაური, ევროპაში ნატო-ს შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდალი ფილიპ მარკ ბრიდლავი, ქალაქ ლევილ სურ ორჟის მერის მრჩეველი დანიელ ესპრენი, CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი ჯონ კოსტელო.

ამასთან, გიორგი მარგველაშვილმა წმინდა გიორგი სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა 26 ადამიანი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით – 52, წმინდა ნიკოლოზის ორდენით – 4, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით – 78, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით – 107, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით – 95, ღირსების ორდენით – 225, მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის" – 10, მედლით „მხედრული მამაცობისათვის" – 46, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" – 19, ღირსების მედლით – 76.

**მედიანიუსი**

# ზესტაფონში ბიზნესმენს ქურდები მოგების 30 პროცენტს სთხოვდნენ

## ფრიდონ სულაქველიძის ძმა, ხვიჩა, დააკავეს

ზესტაფონში ერთ-ერთი კაფეს მეპატრონეს, 41 წლის ბიზნესმენს, ქურდული სამყაროს სახელით ყოველთვიურად მოგების 30 პროცენტს სთხოვდნენ.

ექვსთვიანი ძიების შემდეგ ამ საქმეზე ცნობილი კანონიერი ქურდის, ფრიდონ სულაქველიძის ძმა, კრიმინალური ავტორიტეტი ხვიჩა სულაქველიძე დააკავეს.

მანამდე კი იმერეთის სამხარეო პოლიციისა და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს მიერ ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ამავე საქმეზე ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს 1984 წელს დაბადებული თ.კ., 1967 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ბ. (მეტსახელად „ბახა-ბახა“) და 1968 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ა.ბ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგენილია, რომ ხ.ს. აღიარებს „ქურდულ სამყაროს“. იგი, ძმასთან, უცხოეთში მყოფ ქართველ კანონიერ ქურდთან ფრიდონ სულაქველიძესთან (მეტსახელად „პაწუა“) ერთად მონაწილეობდა „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი ჰქონდათ ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან. ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფის წევრებს ძმები აძლევდნენ დავალებებს და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ“, – აცხადებენ შსს-ში.

სამართალდამცველების მიერ ხვიჩა სულაქველიძე მიმდინარე წლის 18 ივნისიდან იძებნებოდა. მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალი და სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.



ამჟამად დაკავებული პენიტენციარულ დაწესებულებაშია გადაყვანილი.

რაც შეეხება სხვა ბრალდებულებს, გამოძიებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი ჰქონდათ უცხოეთში ფრიდონ სულაქველიძესთან და მის ძმასთან – ხვიჩა სულაქველიძესთან.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებულები ზესტაფონში მდებარე ერთ-ერთი კაფეს მფლობელისგან, გ.ჯ.-სგან, კანონიერი ქურდის – ფრიდონ სულაქველიძის მიერ მისი სამეწარმეო საქმიანობის მფარველობის სანაცვლოდ, მუქარითა და ქურდული გარჩევის გზით, ყოველთვიურად მოგების 30 პროცენტის გადახდას მოითხოვდნენ.

53 წლის კანონიერი ქურდი ფრიდონ სულაქველიძე კრიმინალურ წრეებში „პაწუა ზესტაფონსკის“ სახელით არის ცნობილი. ის ბოლო სასჯელს რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში იხდიდა, რომელიც ვლადიმირსკი ცენტრალის სახელით არის ცნობილი.

# ქართველი კანონიერი ქურდი კიევში დააკავეს



უკრაინის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ აბროსკინი სოციალურ ქსელში წერს, რომ კიევში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი მეტსახელად „თემო სუხუმსკი“ დააკავეს.

აბროსკინის ცნობით, კანონიერი ქურდი სხვა კრიმინალებთან შეხვედრისას დააკავეს.

„ბოლო წლებია, ისინი კრანაში იკრიბებიან, როგორც ფუტკრები თაფლთან. რისთვის აგზავნის რუსეთის „ეფ-ეს-ბე“ მათ ასეთი რაოდენობით ან ვინ ეძახით მათ ჩვენთან“, – წერს ის.

უკრაინის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, დაკავებულს ქართულ მხარეს გადმოსცემენ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოში ამგვარი პირების მიმართ მკაცრი კანონმდებლობა მოქმედებს და მწუხარება გამოთქვა, რომ უკრაინაში არ მოქმედებს მსგავსი კანონმდებლობა.

# ლანჩხუთში 9 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა




ლანჩხუთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 9 წლის ბავშვი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევა 14 დეკემბერს მოხდა.

სასულიერო გიმნაზიის ჩასახვევთან 9 წლის გიორგი ჩხაიძეს მსუბუქი ავტომანქანა მაშინ დაეჯახა, როცა ის გზაზე გადადიოდა.

ბავშვი, რომელსაც მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა, ჯერ ლანჩხუთის „ავერსის“ კლინიკაში გადაიყვანეს, თუმცა, მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, მისი გადაყვანა გახდა საჭირო.

დაშავებული თავის მძიმე ტრავმითა და მრავლობითი დაზიანებებით ქუთაისის კლინიკაში რეანომობილით გადაიყვანეს.

ამ ეტაპზე მისი მდგომარეობა მძიმეა. ბავშვი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

შსს-ს ცნობით, გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

# მასობრივი ჩხუბი ტატიშვილზე

## დაკავებულია გივი დრობიშევი




ქალაქის ცენტრში მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების დროს დაჭრილი ახალგაზრდები ამ დრომდე საავადმყოფოში რჩებიან.

ტატიშვილის ქუჩაზე 4 ახალგაზრდა კაცს დანით მძიმე ჭრილობები გასულ კვირაში მიაყენეს. „კურიერის“ ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი ერთ-ერთ ღამის კლუბში სიტყვიერი დაპირისპირებით დაიწყო, ქუჩაში კი დაჭრით დასრულდა.

„კურიერის „ინფორმაციით, დაზარალებულები და სავარაუდო დამნაშავე კლუბში სხვადასხვა სუფრის წევრები იყვნენ. რა გახდა კონფლიქტის მიზეზი, ოფიციალური მოტივი გამოძიებას ჯერ არ დაუსახელებია. ერთ-ერთი ვერსიით, სიტყვიერი დაპირისპირება ნასვამ სტუმრებს შორის გოგონას გამო დაიწყო. ჩხუბის დროს ადგილობრივების მტკიცებით, დაშავდა ქალიც.

დაპირისპირების მოტივი უცნობია ერთი დაჭრილის, გოჩა კორძახიას ოჯახისთვისაც. დაზარალებულის დედა აცხადებს, რომ მისი შვილი ღამის კლუბში დაბადების დღეზე იმყოფებოდა, თუმცა ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია.

ტატიშვილის ქუჩაზე, თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის ჩხუბი რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდა. ადგილზე საპატრულო პოლიცია ღამის კლუბის დაცვამ მხოლოდ მას შემდეგ გამოიძახა, რაც ახალგაზრდები ცივი იარაღით დაჭრეს. ადგილზე პოლიციის მისვლამდე ტერიტორიის დატოვება ერთ-ერთმა დაჭრილმა და სავარაუდო დამნაშავემაც შეძლეს.

სისხლიანი დაპირისპირებიდან რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა 28 წლის გივი დრობიშევი დააკავეს. მის წინააღმდეგ გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით არის დაწყებული.

დაჭრილი ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

# ფონიჭალაში 2 ნარკორეალიზატორისგან 4 შეკვრა ჰეროინი შეიძინეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფონიჭალაში ორი ნარკორეალიზატორი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ნ.ა. და 1997 წელს დაბადებული ა.მ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე ფონიჭალაში დააკავეს.

ნ.ა.-ს შემთხვევაში დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო, ხოლო ა.მ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული საკონტროლო შესყიდვების დროს დაკავებულებისგან 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალებები შეიძინეს, რომლებიც, ექსპერტიზის დასკვნით, ჰეროინს შეიცავს.



გამოძიება განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შსს-ს პოლიციის ატაშე გიორგი გამსახურდია პოლონეთის შს მინისტრმა მედლით დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშე პოლონეთში გიორგი გამსახურდია პოლონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრმა იოაჰიმ ბრუჯინსკიმ ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ჯილდოზე ქართველი პოლიციის ატაშე პოლონეთის ეროვნული პოლიციის მთავარმა კომენდანტმა იაროსლავ შიმჩიკმა წარადგინა. გიორგი გამსახურდიას ბრინჯაოს მედალი პოლონეთის პოლიციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის გადაეცა.

იოაჰიმ ბრუჯინსკიმ დაჯილდოებისას გიორგი გამსახურდიას წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და პოლონეთს შორის საპოლიციო თანამშრომლობა, მომავალშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში.

საქართველოს პოლიციის ატაშეს დაჯილდოების ცერემონია პოლონეთის ეროვნული პოლიციის გენერალთა დარბაზში გაიმართა. ღონისძიებას პოლონეთის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელები და ტერიტორიული დანაყოფების უფროსები დაესწრნენ.

# მარნეულში 60 წლის ბასტი მამედოვა საკუთარი სახლის სარდაფში დამარხული იპოვეს

მარნეულში შუახნის ქალის ცხედარი იპოვეს.

60 წლის ბასტი მამედოვას 5 დღის განმავლობაში ეძებდნენ, 15 დეკემბერს კი მისივე საცხოვრებელი სახლის სარდაფში დამარხული იპოვეს.

ქალს ოჯახი არ ჰყავდა, მასთან ერთად მისი ძმისშვილი ცხოვრობდა, რომელიც ამ დროისათვის დაკარგულად ითვლება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# სუპერმარკეტ „ორ ნაბიჯში“ 71 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

15 დეკემბერს, შუადღისას, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, სუპერმარკეტ „ორ ნაბიჯში“ 71 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

მამაკაცი სუპერმარკეტში პურის საყიდლად იყო შესული და მოულოდნელად შეუძლოდ გახდა.

ადგილზე საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც „პრაიმტაიმს“ შსს-ში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კიევში ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია შეიქმნა

## მის მეთაურად 39 წლის მიტროპოლიტი ეპიფანე აირჩიეს

15 დეკემბერს კიევში, სოფიის ტაძარში, გამაერთიანებელი საეკლესიო კრება გაიმართა.

ეს ფრიად დაძაბულ ფონზე მოხდა. რუსული ტელეარხებიდან უკვე პირდაპირ აცხადებდნენ, ერთიანი უკრაინული ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნა უკრაინაში რელიგიური ომის დასაწყისიაო. რტრ-ის წამყვანმა საპროტესტო აქციებიც დააანონსა, აქაოდა, კრების წინ აღშფოთებული მორწმუნენი ქუჩაში გამოვლენ, კრების დღეს კი მოსკოვის საპატრიარქოს მრევლი ხატებით მსვლელობის მოწყობას გეგმავსო.




– მსვლელობა მოეწყობა ხარკოვში, ზაპოროჟიეში, ხერსონში და, რა თქმა უნდა, კიევში, – გვამცნობდა რტრ.

14 დეკემბერს უკრაინის რადასთან მოსკოვის საპატრიარქოს მომხრეთა აქცია მართლაც გაიმართა. ისინი ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევას აპროტესტებდნენ.

აქციაზე 100-მდე მოქალაქემ მოიყარა თავი. ასევე ჩაიშალა „ხატების მსვლელობაც“, რომელიც 15 დეკემბერს უნდა მოწყობილიყო. ხარკოვის, ზაპოროჟიეს, ოდესის, ხერსონისა თუ კიევის მოსახლეობამ ამას მხარი არ დაუჭირა.

ამის შემდეგ რუსებმა თავიანთი უკანასკნელი კოზირი გამოაგდეს. რტრ-მა გადასცა დეზინფორმაცია, რომ უკრაინის უშიშროებამ მოგილიოვ-პოდოლსკის მიტროპოლიტი გაიტაცა. მოსკოვის პატრიარქმა კირილემაც უკრაინის ხელისუფლება სასულიერო პირებზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

– მივმართავ საერთაშორისო საზოგადოებას, რათა ჩვენი სასულიერო პირები უკრაინის ხელისუფლების დევნა-შევიწროებისგან დაიცვას, – განაცხადა კირილემ.

კიევში სოფიის ტაძრის წინ კი 50.000-მდე ადამიანმა მოიყარა თავი. იდგა ზამთრის ცივი დღე. თოვდა, ხალხი კი დაშლას არ აპირებდა და საეკლესიო კრების შედეგებს, ანუ ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის გამოცხადებას ელოდა.

საეკლესიო კრება დასრულდა. პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო სოფიის ტაძრის წინ შეკრებილ ხალხთან გავიდა.

– ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესია შეიქმნა! დამტკიცებულია მისი წესდება, აირჩა წინამძღვარი! – საზეიმოდ გამოაცხადა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნას ისეთივე გრანდიოზული მოვლენა უწოდა, როგორიც 1991 წელს უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო.

– პუტინისათვის საბჭოთა კავშირის დანგრევა გეოპოლიტიკური კატასტროფაა! ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნა კი მისთვის მეორე გეოპოლიტიკური კატასტროფაა! – პოროშენკოს ამ სიტყვებს მქუხარე ტაში მოჰყვა.

საეკლესიო კრებამ ერთიანი უკრაინული ეკლესიის წესდება დაამტკიცა. არჩეულ იქნა მისი მეთაური. ეს არის 39 წლის მიტროპოლიტი ეპიფანე (დუმენკო), რომელიც კიევის პატრიარქ ფილარეტის მარჯვენა ხელია.

მსოფლიოს პატრიარქმა ახლად არჩეული კიევის მიტროპოლიტი ტომოსის მისაღებად კონსტანტინეპოლში ოფიციალურად მიიწვია. 2019 წლის 6 იანვარს მას ტომოსი საზეიმო ვითარებაში გადაეცემა.

# მარია ზახაროვა: „უკრაინა ომისთვის ემზადება!“



რუსეთმა უკრაინის საზღვართან დიდძალ სამხედრო ძალას მოუყარა თავი – 100.000 ჯარისკაცი, ტანკები, ავიაცია, ისკანდერის ტიპის რაკეტები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარია ზახაროვა ამბობს, რომ ეს შემთხვევით არ ხდება.

– 24 დეკემბერს უკრაინული არმია შეტევაზე გადავა. ის შეეცდება, დაიკავოს ახალი ტერიტორიები დონბასში და რუსეთის საზღვართან გავიდეს, – აცხადებს ზახაროვა.

უკრაინელი ექსპერტი ანდრეი ბაბჩენკო მიიჩნევს, რომ უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია და ზახაროვას განცხადება შემთხვევითი არ არის.

– რუსეთი აპირებს პროვოკაციის განხორციელებას, რათა უკრაინაში შეჭრა გაამართლოს. მეორდება სქემა, რომელიც რუსეთმა თავის დროზე სამხრეთ ოსეთში გამოიყენა, – მიიჩნევს ბაბჩენკო.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსკოვმა ყველა მოსამზადებელი სამუშაო დაასრულა, ზახაროვას განცხადებით კი უკრაინაში შეჭრის გამამართლებელი იდეოლოგიური სარჩული შეიქმნა.

# აშშ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგა



## თეთრი სახლის აპარატს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

აშშ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი რაიან ზინკე გადადგა.

ზინკე პრეზიდენტ ტრამპის ერთ-ერთ უახლოეს თანამოაზრედ ითვლებოდა.

– მსურს, რაიანს მადლობა გადავუხადო. მან კარგად იმუშავა და ბევრს მიაღწია, – განაცხადა ტრამპმა.

ექსპერტები თვლიან, რომ ზინკეს გადადგომა ტრამპის მოთხოვნის შედეგად მოხდა. აშშ-ის პრეზიდენტმა მინისტრი გადააყენა.

ზოგი ვარაუდობს, რომ ეს ტრამპის ადმინისტრაციის რუსეთთან კავშირის გამო წარმოებულმა გამოძიებამ განაპირობა.

ამასობაში თეთრი სახლის აპარატს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. პრეზიდენტმა ტრამპმა ამ პოსტზე მაიკ მალვენი დანიშნა. მან ჯონ კელი შეცვალა.

მალვენს მანამდე თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს დირექტორის პოსტი ეკავა. 2017 წლამდე ის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ბიუროს აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ.

– მსურს, ჯონ კელის მადლობა გადავუხადო. მან ჩინებულად იმუშავა. იმედი მაქვს, მალვენის სახით მას ღირსეული შემცვლელი ეყოლება, – თქვა ტრამპმა.

# საფრანგეთში საპროტესტო აქციები განახლდა



საფრანგეთში საპროტესტო აქციები განახლდა.

„ყვითელი ჟილეტები“ კვლავ ქუჩაში გამოვიდნენ. გარკვეული ძალები ცდილობენ, საპროტესტო ტალღა ბელგიასა და გერმანიაზეც გავრცელდეს, თუმცა თავად საფრანგეთში ის ნელ-ნელა ცხრება.

თუ ერთი კვირის წინ პარიზის ქუჩებში 30.000 ადამიანი გამოვიდა, ახლა ეს რიცხვი 5.000-მდე შემცირდა.

მიუხედავად ამისა, მომიტინგეები კვლავაც აგრესიულად იქცევიან. გრძელდება პოლიციასთან შეტაკებები.

კანონის დამცველებმა 900-მდე დემონსტრანტი დააკავეს.

# ლუკაშენკო: „ბელორუსი რუსეთის შემადგენლობაში არასოდეს შევა!“



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მოსკოვში ვიზიტისას ინციდენტი შეემთხვა. რუსმა მაღალჩინოსნებმა მას რუსეთ-ბელორუსის გაერთიანება შესთავაზეს.

– მათ არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ სამი თითის კომბინაცია ვაჩვენე, – თქვა ლუკაშენკომ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბელორუსი რუსეთის გავლენას უყოყმანოდ აღიარებს. ქვეყანა ევრაზიული კავშირის წევრია. რუსეთთან ინტეგრაცია გაღრმავდება, მაგრამ ბელორუსი დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს.

– სუვერენიტეტს არ დავთმობთ, – აცხადებს ლუკაშენკო.

# ავსტრალიამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა



ავსტრალიამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა.

ავსტრალიის პრემიერმა მორისონმა აღნიშნა, რომ იერუსალიმში ჯერ ავსტრალიის სამხედრო და სავაჭრო წარმომადგენლობები გაიხსნება.

– სანამ ისრაელი პალესტინელებთან სამშვიდობო შეთანხმებას არ გააფორმებს, საელჩო არ გაიხსნება, – განაცხადა მორისონმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



## 2019 წლის მთავარი ფერი დასახელდა

საერთაშორისო კვლევითმა ინსტიტუტმა Pantone-მ 2019 წლის მთავარი ფერი შეარჩია.

წლის მთავარ ფერად შერჩეული იქნა Pantone 16-1546 Living Coral-ი – „ცოცხალი მარჯანი“.

გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ფერი „სითბოსა და მზრუნველობაში გახვევთ“, გაძლევს სიმხნევესა და ენერგიას.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის მთავარ ფერს ღია იასამნისფერი Ultra Violet-ი წარმოადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლოკომოტივმა მოიგო, მაგრამ შანსები მცირეა



**კალვიზანო (იტალია)-ლოკომოტივი (საქართველო) 13:20**

თბილისის ლოკომოტივმა, „კონტინენტის ფარის" ფარგლებში, იტალიური ტურნე წარმატებით დაასრულა და ფიამე ოროს შემდეგ სტუმრად კალვიზანოც დაამარცხა – 20:13.

პირველ წრეში „ავჭალაზე" განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში შედგა. საქართველოს ჩემპიონმა დაამტკიცა, რომ იტალიურ კლუბებთან ტოლ-სწორად თამაში და შინ თუ გარეთ გამარჯვების მოპოვება შეუძლია. თუმცა, თამაშის გაწითლებულ დროზე გაშვებულმა ლელო-გარდასახვამ მეტოქეს ბონუსის აღების შესაძლებლობა მისცა და, სამწუხაროდ, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისა და ფლეი ოფში გასვლის ბედი ახლა მხოლოდ ლოკომოტივზე აღარ არის დამოკიდებული.

თბილისელებმა კარგი თამაში აჩვენეს. ისინი კარგად იცავდნენ თავს, მასპინძლებს ჯანში ჯაბნიდნენ, შერკინებაში უპირობო უპირატესობას ფლობდნენ და გამარჯვებაც დამსახურებულად გაიფორმეს.

შეხვედრის დებიუტში ზედიზედ ორჯერ დავჯარიმდით და მეორე შემთხვევაში იტალიელებმა კარის წინიდან ანგარიში გახსნეს. განახლდა თამაში და ჯარიმა უკვე ლოკომოტივმა მოიპოვა, რომელიც საშუალო დისტანციიდან 3 ქულად ბექა წიკლაურმა აქცია. გარკვეული დროით კალვიზანომ ტემპს უმატა და სახიფათოდ შემოგვიტია, თუმცა სტუმრებმა თავი კარგად დაიცვეს, მე-16 წუთზე მასპინძლები მათსავე შერკინებაში დააჯარიმეს და წიკლაურმა რთული პოზიციიდან 6:3 დაგვაწინაურა.

რკინიგზელები გათამამდნენ, თავისი ნახევრიდან მორკინალებით შეუტიეს და საგრძნობი ტერიტორია მოიგეს, წიკლაურმა ცენტრში ცადა ხაზის გაჭრა, მაგრამ მასზე მაღალი ბოჭვა შესრულდა და ბექამ 32 მეტრიდან გაიტანა. ამ ეპიზოდში იტალიელი მორაგბე სინბინით დაისაჯა, თუმცა მალევე რეფერიმ ყვითელი ბარათი ფარნა გასვიანსაც უჩვენა. ამას კვლავ კალვიზანოს გააქტიურება მოყვა, დაცვამ კვლავ კარგად იმუშავა, მერე შეტევაში ბლოკისთვის დავჯარიმდით და სხვაობა 3 ქულამდე დავიდა. 30-ე წუთზე მასპინძლები შერკინებაში ისევ დავაჯარიმეთ, წიკლაურმა დაახლოებით 40 მეტრიდან გაიტანა და ტაიმი 12:6 დასრულდა.

რადგან კალვიზანოსთვის 11-ზე მეტი ქულის სხვაობით უნდა მოგვეგო, მეორე ტაიმის დასაწყისში ჯარიმის დარტყმას ლელოზე თამაში ვარჩიეთ, თუმცა დერეფანში ბურთი ცუდად ავაგდეთ. 45-ე წუთზე წიკლაურმა უკვე კარში დაარტყა, ცენტრიდან ბურთმა მიზნამდე ვერ მიაღწია. ტაიმის შუაში ჯარიმაზე ისევ უარი ვთქვით, 5-მეტრიანი დერეფნიდან კარგი მოლი დადგა, მანძილი სწრაფად დაიფარა და გასვიანის ლელომ ანგარიში თბილისური მატჩის მსგავსი გახადა – 17:6.

გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ დაცვაში კარგი გარჯის შემდეგ ლოკომოტივის შეტევების ჯერი დადგა, ჯარიმის შესრულების უფლებაც მივიღეთ და წიკლაურმა სასურველი სხვაობით დაგვაწინაურა – 20:6.

კალვიზანომ გააფთრებით შემოგვიტია და დიდი ხნის განმავლობაში თავი დავიცავით, თითქოს საფრთხეც განეიტრალდა, თუმცა იტალიელებმა ბოლოს მაინც მოახერხეს ჩვენს 22-ში ფეხის მოკიდება, გაწითლებულ დროზე ხაზი გაიჭრა და, ბოჭვის მიუხედავად, ლელო გავიდა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოჰყვა და ლოკომოტივმა 7 ქულის სხვაობით, 20:13 იმარჯვა.

ამრიგად, კალვიზანომ დაცვის ბონუსი აიღო და, ჯამში, 10 მოაგროვა, ხოლო ლოკომოტივი 9 ქულით მეორე ადგილზეა.

12 იანვარს ლოკომოტივი შინ ფიამე ოროს უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში პირველ, ფლეი ოფში გამსვლელ ადგილზე გადავა, მაგრამ 19 იანვარს რომაელები კალვიზანოს მასპინძლობენ და თუ იტალიური კლუბების ჯახი სტუმართა მოგებით დასრულდება, საქართველოს ჩემპიონი ფლეი ოფს მიღმა დარჩება.

ცოტა არ იყოს, უხერხულადაც მოჩანს ბოლო ტურში 2 ერთი ქვეყნის ერთმანეთთან ჯახი, რასაც, შესაძლოა, არასპორტული შედეგიც მოჰყვეს.

# პოგბა და დე ლიხტი ბარსამ და იუვემ ვერ გაიყვეს

ბრიტანული მედიის მტკიცებით, მანჩესტერ იუნაიტედი პოლ პოგბას ზამთარშივე შეელევა. ურთიერთობა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის იმდენად დაძაბულია, რომ პოგბა მყარად დაჯდა სათადარიგოთა სკამზე და ისინი ერთმანეთს აღარ ეკონტაქტებიან.

„წითლები" მზად არიან, განიხილონ ფრანგი ნახევარმცველის თაობაზე შესული წინადადებები, მაგრამ იუვენტუსი საქმეში იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ მანჩესტერელები იჯარას დათანხმდებიან.

მეორეს მხრივ არაა გამორიცხული პირდაპირი ტრანსფერიც, თუკი ინგლისელები ფასს დააკლებენ. ფინანსური ფეირ-პლეიდან გამომდინარე, დღევანდელი მონაცემებით ტურინული კლუბი ბაზარზე ცოტათი შებოჭილია. შესაბამისად თუ ის ახლა გააკეთებს დიდ ინვესტირებას, მაშინ მომდევნოზე მოუწევს ხელმოჭერილად ყოფნა.

იუნაიტედი, თავის მხრივ, ინტერესდება იუვეს რამდენიმე ფეხბურთელით. ერთ-ერთი არის ალექს სანდრო რომელთანაც როგორც ჩანს, იუვე მაინც გაახანგრძლივებს კონტრაქტს, ხოლო მეორე მირალემ პიანიჩია.

შესაძლოა, ეს ფეხბურთელები პოგბას ტრანსფერში ჩაერთონ.

პოგბას ხელში ჩაგდება ბარსელონასაც სურს, მაგრამ კატალონიურ-ტურინული ორთაბრძოლა მხოლოდ ფრანგი ფეხბურთელისთვის არ მიმდინარეობს – კლუბები ერთმანეთს მატეას დე ლიხტის ტრანსფერისთვისაც ეცილებიან. თუმცა, როგორც იტალიური მედია წერს, იუვენტუსი ამ კუთხით გარკვეულ უპირატესობას ფლობს.

კერძოდ, დე ლიხტის გარემოცვიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა ტალანტი უფრთხის ბარსაში გადასვლას, რადგან არსებული კონკურენციის პირობებში რთულად წარმოუდგენია სასტარტო შემადგენლობაში ადგილის მოპოვება.

შესაბამისად, ჰოლანდიელისთვის ტურინული ვარიანტი უფრო მიმზიდველი ხდება და თან, როგორც აპენინური მედია ირწმუნება, ბიანკონერი მზად არის, მის სანაცვლოდ 60-80 მილიონი გაიღოს, რაც ბარსასთვის ამ ეტაპზე უტოპიაა.

სამაგიეროდ, ბარსელონაში გადასვლა აიაქსის სხვა ნახევარმცველს, ფრენკი დე იონგს სურს. უფრო სწორად, ფეხბურთელის მამას. ცხადია, ინტერესს თავად კატალონიური კლუბიც იჩენს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ფეხბურთელის მამა იმედოვნებს, რომ მისი შვილი „ბლაუგრანაში" გადასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს და ადრე ამის შესახებ განაცხადა კიდეც.



ამის მიზეზი კი ის არის, რომ გრანდებიდან ჰოლანდიელის მიმართ ინტერესი პირველმა ბარსელონამ გამოიჩინა. პირველი მოლაპარაკებები აპრილში შედგა და მაშინ ბარსას ხელმძღვანელებმა დე იონგს, მამამისსა და მის აგენტს თავიანთი გეგმები გააცნეს.

# სიონი დარჩა, ვიტ ჯორჯია დაბრუნდა

**სიონი-გაგრა 3:0**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 ისიანი (28), 2:0 ხმალაძე (51), 3:0 კირკიტაძე (73)

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე (უგულავა 70), ხმალაძე, კირკიტაძე (მანაგაძე 75), მახარობლიძე, ხეცურიანი, ისიანი (სიხარულია 81), დათუნაიშვილი, გიორბელიძე

**გაგრა:** შევჩუკი, ხოსიტაშვილი, სამხარაძე, თ.გაფრინდაშვილი, ცაცკრიალაშვილი (მათიაშვილი 78), ხაბელაშვილი, გ.გაფრინდაშვილი, კაკიაშვილი, სპანდერაშვილი (პაპავა 57), ივანიაძე (ლომსაძე 46), სულთანიშვილი

ბოლნისის სიონმა მთელი სეზონი საშინაო მატჩები თბილისში ჩაატარა და მხოლოდ საფიაუტო მატჩს შეხვდა საკუთარ თამაზ სტეფანიაზე და ეროვნულ ლიგაში ადგილი მშობლიურ კედლებში შეინარჩუნა.

ბოლნისელებმა გაგრას პირველი მატჩიც მოუგეს (1:0), ხოლო მეორეში ბოლოს ყველაფერი ფორმალობა იყო.

28-ე წუთზე ვილი ისიანმა გახსნა ანგარიში, რასაც მე-2 ტაიმში ლევან ხმალაძის გოლი მოჰყვა. 73-ე წუთზე კი დავით კირკიტაძემ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**ვიტ ჯორჯია-სამტრედია 4:0**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

1:0 ღირდალაძე (5), 2:0 ნ.მაისურაძე (13), 3:0 საჯაია (61), 4:0 ვაზაგაშვილი (63)



**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, მოსიაშვილი (ვეკუა 46, ვაზაგაშვილი 55)), ღუდუშაური, ღირდალაძე (კამლაძე 65), კიკნაველიძე, ვასაძე, ჩიტიშვილი, მაისურაძე, საჯაია

**სამტრედია:** კუპატაძე, გურული, ტუღუში (მამასახლისი 65), ლიპარტია, ახალაძე (ერისთავი 46), ფანცულაია, კერძევაძე, ფატიჩი, ჯგერენაია, გოგიაშვილი, ენდელაძე (მაქაცარია 46)

**გაძევება:** კერძევაძე (7)

ამ გუნდების პირველი ჯახი 2:2 დასრულდა და გულშემატკივარი ამჯერადაც უშელავათო ბრძოლას ელოდა, თუმცა, „მცხეთა პარკზე" პირველლიგელმა ვიტ ჯორჯიამ უმაღლესლიგელ სამტრედიას დიდი ანგარიშით, 4:0 მოუგო და 3-წლიანი პაუზის შემდეგ ელიტაში დაბრუნდა.

ანგარიში მე-5 წუთზე გიორგი ვაზაგაშვილმა გახსნა. მალევე სამტრედიელთა მდგომარეობა დამძიმდა – მე-7 წუთზე შოთა კერძევაძემ წითელი ბარათი მიიღო და იმერლები კაცნაკლულნი დარჩნენ.

მე-13 წუთზე ნიკოლოზ მაისურაძემ ვეტერინართა უპირატესობა ორამდე გაზარდა. შემდეგ კი უკვე გამარჯვების ბოლომდე მიყვანა ტექნიკის საქმე იყო.

61-ე წუთზე დავით საჯაიამ გამოიჩინა თავი, ხოლო 2 წუთში ვაზაგაშვილმა დუბლი გაიფორმა.

# რონალდუმ თავი დამნაშავედ ცნო



ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ მადრიდში დაბრუნდება, თუმცა, არა რეალის შემადგენლობაში, არამედ ესპანეთის დედაქალაქის სასამართლოს წინაშე წარდგება. საქმე გადასახადების გადაუხდელობას ეხება და პირველი პროცესი 2019 წლის 14 იანვარს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ, ესპანური მედიის მტკიცებით, ფეხბურთელმა თავი დამნაშავედ ცნო.

აქედან გამომდინარე, სასამართლოზე რონალდუსა და ესპანეთის ხაზინას შორის შეთანხმება შედგება. 33 წლის პორტუგალიელ ფორვარდს დამნაშავედ საგადასახადო დარღვევის 4 შემთხვევაში ცნობენ. კრიშტიანუს, ჯამში, 14,7 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა ეკისრება, ამასთან, სასამართლო 2 წლით პირობით პატიმრობას მიუსჯის.

რონალდუმ ხაზინას ჯარიმის დიდი ნაწილი (13,4 მილიონი) უკვე გადაუხადა, მაგრამ სასამართლოს წინაშე ჯერ არ წარმდგარა, რაც გათვალისწინებულია ესპანური კანონმდებლობით.

როგორც ირკვევა, პორტუგალიელის ადვოკატი ცდილობდა, პირობითი სასჯელი დამატებითი ჯარიმით შეეცვალა, რომლის ოდენობა 375.000 ევრო იქნებოდა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო.

საგადასახადო კანონმდებლობის ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში პორტუგალიელ ვარსკვლავს უკვე რეალური პატიმრობა დაემუქრება.

# შედეგები

## 15 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ევერტონი ... 3:1
ვულვზი-ბორნმუთი ... 2:0
კრ.პალასი-ლესტერი ... 1:0
ტოტენჰემი-ბარნლი ... 1:0
უოტფორდი-კარდიფი ... 3:2
ჰადერსფილდი-ნიუკასლი ... 0:1
ფულემი-ვესტ ჰემი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 17 | 14 | 2 | 1 | 48:10 | 44 |
| 2.ლივერპული | 16 | 13 | 3 | 0 | 34:6 | 42 |
| 3.ტოტენჰემი | 17 | 13 | 0 | 4 | 31:16 | 39 |
| 4.ჩელსი | 16 | 10 | 4 | 2 | 33:13 | 34 |
| 5.არსენალი | 16 | 10 | 4 | 2 | 35:20 | 34 |
| 6.მანჩესტერი | 16 | 7 | 5 | 4 | 28:26 | 26 |
| 7.ვულვზი | 17 | 7 | 4 | 6 | 19:19 | 25 |
| 8.ევერტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 24:22 | 24 |
| 9.ვესტ ჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25:25 | 24 |
| 10.უოტფორდი | 17 | 7 | 3 | 7 | 23:25 | 24 |
| 11.ბორნმუთი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:28 | 23 |
| 12.ლესტერი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:21 | 22 |
| 13.ბრაიტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 19:22 | 21 |
| 14.ნიუკასლი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:22 | 16 |
| 15.კრ.პალასი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:23 | 15 |
| 16.კარდიფი | 17 | 4 | 2 | 11 | 17:33 | 14 |
| 17.ბარნლი | 17 | 3 | 3 | 11 | 15:33 | 12 |
| 18.ჰადერსფილდი | 17 | 2 | 4 | 11 | 10:28 | 10 |
| 19.საუთჰემპტონი | 16 | 1 | 6 | 9 | 13:30 | 9 |
| 20.ფულემი | 17 | 2 | 3 | 12 | 16:42 | 9 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ასტონ ვილა-სტოკი ... 2:2
ბლექბერნი-ბირმინგემი ... 2:2
ბოლტონი-ლიდსი ... 0:1
იფსვიჩი-უიგანი ... 1:0
ქპრ-მიდლსბრო ... 2:1
პრესტონი-მილუოლი ... 3:2
როტერჰემი-რედინგი ... 1:1
სუონსი-უენსდი ... 2:1
ჰალი-ბრენტფორდი ... 2:0
ბრისტოლი-ნორვიჩი ... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-სოსიედადი ... 1:0
ვალიადოლიდი-ატლეტიკო ... 2:3
რეალი-რაიო ... 1:0
ეიბარი-ვალენსია ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 9 | 4 | 2 | 41:19 | 31 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 8 | 7 | 1 | 24:12 | 31 |
| 3.რეალი | 16 | 9 | 2 | 5 | 24:19 | 29 |
| 4.სევილია | 15 | 8 | 4 | 3 | 27:16 | 28 |
| 5.ხეტაფე | 16 | 6 | 6 | 4 | 17:12 | 24 |
| 6.ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 18:17 | 24 |
| 7.ლევანტე | 15 | 6 | 4 | 5 | 27:25 | 22 |
| 8.ბეტისი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:17 | 22 |
| 9.სელტა | 16 | 5 | 6 | 5 | 28:24 | 21 |
| 10.ხირონა | 15 | 5 | 6 | 4 | 17:17 | 21 |
| 11.ესპანიოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 17:20 | 21 |
| 12.ვალიადოლიდი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| 13.ეიბარი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| 14.ვალენსია | 16 | 3 | 10 | 3 | 13:13 | 19 |
| 15.სოსიედადი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| 16.ლეგანესი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:19 | 18 |
| 17.ვილიარეალი | 15 | 3 | 5 | 7 | 15:19 | 14 |
| 18.ბილბაო | 15 | 2 | 8 | 5 | 15:23 | 14 |
| 19.რაიო | 16 | 2 | 4 | 1 | 15:31 | 10 |
| 20.უესკა | 15 | 1 | 4 | 10 | 12:30 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

გრანადა-ოვიედო ... 1:0
ნუმანსია-ლაბასეტე ... 1:2
რეუსი-კორდობა ... 1:1
ხიხონი-მალიორკა ... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-შალკე ... 1:1
ჰანოვერი-ბაიერნი ... 0:4
ფორტუნა-ფრაიბურგი ... 2:0
ჰოფენჰაიმი-გლადბახი ... 0:0
შტუტგარტი-ჰერტა ... 2:1
დორტმუნდი-ვერდერი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 15 | 12 | 3 | 0 | 41:15 | 39 |
| 2.გლადბახი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:16 | 30 |
| 3.ბაიერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 32:18 | 30 |
| 4.ლაიპციგი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:13 | 25 |
| 5.აინტრახტი | 14 | 7 | 2 | 5 | 30:17 | 23 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 15 | 6 | 5 | 4 | 30:21 | 23 |
| 7.ჰერტა | 15 | 6 | 5 | 4 | 23:22 | 23 |
| 8.ვოლფსბურგი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:20 | 22 |
| 9.ვერდერი | 15 | 6 | 3 | 6 | 25:25 | 21 |
| 10.მაინცი | 14 | 5 | 4 | 5 | 13:15 | 19 |
| 11.ლევერკუზენი | 14 | 5 | 3 | 6 | 20:25 | 18 |
| 12.ფრაიბურგი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:24 | 17 |
| 13.შალკე | 15 | 4 | 3 | 8 | 16:21 | 15 |
| 14.აუგსბურგი | 15 | 3 | 5 | 7 | 21:24 | 14 |
| 15.შტუტგარტი | 15 | 4 | 2 | 9 | 11:30 | 14 |
| 16.ფორტუნა | 15 | 3 | 3 | 9 | 16:32 | 12 |
| 17.ნიურნბერგი | 15 | 2 | 5 | 8 | 14:35 | 11 |
| 18.ჰანოვერი | 15 | 2 | 4 | 9 | 16:33 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

პადერბორნი-დინამო ... 3:0
ზ.პაული-ფიურტი ... 2:0
უნიონი-ბოხუმი ... 2:0

**იტალია. სერია ა**

ინტერი-უდინეზე ... 1:0
ტორინო-იუვენტუსი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 16 | 15 | 1 | 0 | 33:8 | 46 |
| 2.ნაპოლი | 15 | 11 | 2 | 2 | 32:14 | 35 |
| 3.ინტერი | 16 | 10 | 2 | 4 | 28:13 | 32 |
| 4.მილანი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:18 | 26 |
| 5.ლაციო | 15 | 7 | 4 | 4 | 22:18 | 25 |
| 6.ტორინო | 16 | 5 | 7 | 4 | 19:17 | 22 |
| 7.ატალანტა | 15 | 6 | 3 | 6 | 29:20 | 21 |
| 8.რომა | 15 | 5 | 6 | 4 | 26:20 | 21 |
| 9.სასუოლო | 15 | 5 | 6 | 4 | 24:22 | 21 |
| 10.პარმა | 15 | 6 | 3 | 6 | 16:19 | 21 |
| 11.სამპდორია | 15 | 5 | 5 | 5 | 23:19 | 20 |
| 12.ფიორენტინა | 15 | 4 | 7 | 4 | 21:16 | 19 |
| 13.კალიარი | 15 | 3 | 8 | 4 | 15:19 | 17 |
| 14.ემპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:26 | 16 |
| 15.ჯენოა | 15 | 4 | 4 | 7 | 20:30 | 16 |
| 16.სპალი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:24 | 15 |
| 17.უდინეზე | 16 | 3 | 4 | 9 | 13:22 | 13 |
| 18.ბოლონია | 15 | 2 | 5 | 8 | 13:24 | 11 |
| 19.ფროზინონე | 15 | 1 | 5 | 9 | 11:33 | 8 |
| 20.კიევო | 15 | 0 | 6 | 9 | 12:32 | 3 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ჩიტადელა ... 1:1
პალერმო-ლივორნო ... 1:1
პერუჯა-სპეცია ... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-სტრასბური ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 14 | 2 | 0 | 49:10 | 44 |
| 2.ლილი | 17 | 9 | 4 | 4 | 25:15 | 31 |
| 3.მონპელიე | 16 | 8 | 5 | 3 | 24:12 | 29 |
| 4.ლიონი | 16 | 8 | 4 | 4 | 26:20 | 28 |
| 5.მარსელი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:25 | 26 |
| 6.სტ.ეტიენი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:21 | 26 |
| 7.ნიცა | 16 | 7 | 4 | 5 | 12:14 | 25 |
| 8.რეიმსი | 18 | 6 | 7 | 5 | 13:16 | 25 |
| 9.სტრასბური | 18 | 5 | 8 | 5 | 28:23 | 23 |
| 10.ნიმი | 16 | 6 | 5 | 5 | 24:21 | 23 |
| 11.რენი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:25 | 23 |
| 12.ბორდო | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| 13.ნანტი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:24 | 20 |
| 14.ანჟე | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| 15.ტულუზა | 16 | 4 | 6 | 6 | 14:24 | 18 |
| 16.დიჟონი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:28 | 16 |
| 17.ამიენი | 17 | 5 | 1 | 11 | 16:30 | 16 |
| 18.კაენი | 17 | 2 | 8 | 7 | 15:22 | 14 |
| 19.მონაკო | 16 | 3 | 4 | 9 | 16:24 | 13 |
| 20.გენგამი | 17 | 1 | 5 | 11 | 12:34 | 8 |

**საფრანგეთი. მეორე ლიგა**

კლერმონი-ლანსი ... 0:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## სწრაფი კვების რესტორნის მომხმარებელი შეკვეთილმა კერძმა შეაშინა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მცხოვრებმა სწრაფი კვებისKFC-ს რესტორანში კერძში უცხო საგანი შენიშნა, რომელიც ტვინს წააგავდა.

26 წლისსარა პალმერმა რესტორანში კერძის ნაკრები შეუკვეთა, რომელიც ქათმის 15 ფეხის, 18 ნაგეთსის, კარტოფილი ფრის დიდი ულუფის, კარტოფილის პიურეს საწებელით, კომბოსტოს სალათის და 1,25 ლიტრი პეპსი მაქსისგან შედგებოდა. ქათმის კერძის დამთავრების შემდეგ მან ყავისფერი საგანი შენიშნა, რომელიც ტვინის ხვეულებს წააგავდა.



– სიმართლე გითხრათ, კინაღამ გული ამერია, – ამტკიცებს პალმერი, ნაცნობები ფიქრობდნენ, რომ მე ვაზვიადებდი, სანამ თავად არ ნახეს. მაშინ მათაც იგივე შეგრძნება დაეუფლათ.

მან ეს ისტორია ფეისბუქში რესტორნის გვერდზე გამოაქვეყნა და უცნაური საგნის ფოტოსურათიც დაურთო.

KFC-ს წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ გოგონას კერძში შეხვდა არა ტვინი, არამედ თირკმლის ნაწილი.

– დროდადრო შეცდომები ხდება და ორგანოები, რომლებიც უნდა მოეშორებინათ, კერძში რჩება, – განმარტა ჟურნალისტებთან საუბარში კომპანიის პრეს-მდივანმა.

## მკვლელი-ვეშაპები მოცურავე ქალით დაინტერესდნენ



ახალ ზელანდიაში კორომანდელის ნახევარკუნძულის სანაპიროსთან მკვლელი-ვეშაპების გუნდი ზღვაში მოცურავე ქალს აედევნა.

თავდაპირველად ჯოდი ჯონსონს მის კვალდაკვალ მცურავი ვეშაპები დელფინები ეგონა.

– მე მათ ზურგზე თეთრი ლაქები შევნიშნე და გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, ესენი დელფინები კი არა, მკვლელი-ვეშაპები არიან!" – იხსენებს ჯონსონი. მის გარშემო სამი ვეშაპი დაცურავდა: ერთი მოზრდილი და ორი მისი ნაშიერი.

ჯონსონის თქმით, ეს ლატარიაში მოგებაზე მაგარი იყო.

– მე მათში არანაკლებ ინტერესს და ცნობისმოყვარეობას ვიწვევდი, ვიდრე ისინი ჩემში, – განაცხადა ქალმა, – ამავე დროს გავიფიქრე, რომ ისინი სელაპებით იკვებებიან, მე კი იმ მომენტში სწორედ შავი ფერის ჰიდროკოსტიუმი მეცვა.

მისი შიში ფუჭი აღმოჩნდა, რამდენიმე წუთის შემდეგ მკვლელმა-ვეშაპებმა ქალს თავი ანებეს და ღია ზღვისკენ გაცურეს. აღნიშნული ინციდენტი ვიდეოზე კვადროკოპტერით იქნა გადაღებული.

## ქალი აიძულეს, ჩაკეტილ საკანში ემშობიარა



ავსტრალიის ციხეში ქალი იძულებული გახდა, ყოველგვარი სპეციალისტების დახმარების გარეშე, ჩაკეტილ საკანში ემშობიარა.

ინციდენტი დასავლეთ ავსტრალიის შტატის ბენდიაპის ქალთა ციხეში მოხდა. ქალი საპატიმროში ფეხმძიმობის ბოლოს სტადიაში ყოფნის დროს იმის გამო აღმოჩნდა, რომ გირაოთი გათავისუფლების პირობები დაარღვია.

საღამოს მას მშობიარობის კრუნჩხვები დაეწყო. დაახლოებით 17:30 საათზე მან ამის შესახებ ციხის თანამშრომელს აცნობა. სამედიცინო განყოფილებაში მას პარაცეტამოლი მისცეს და უკან, საკანში დააბრუნეს. როგორც შემდეგ გაირკვა, მედდებს მშობიარობის კრუნჩხვების შესახებ არ აცნობეს.

18:30 საათზე პატიმარმა ისევ დახმარება ითხოვა, მაგრამ ამჯერად მისი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს. ერთი საათისა და ხუთი წუთის შემდეგ საკანთან მედდები მივიდნენ, მაგრამ შიგნით შესვლა ვერ შეძლეს, ვინაიდან ციხის თანამშრომელი, რომელსაც გასაღებები ებარა, ადგილზე არ აღმოჩნდა. ისინი იძულებულნი იყვნენ, მშობიარეს კარს მიღმა გასაუბრებოდნენ.

19:40 საათზე ქალმა ჩაკეტილ საკანში იმშობიარა. მშობიარობამ გართულების გარეშე ჩაიარა. იმავე დღეს ქალი ბავშვთან ერთად საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ავსტრალიის იუსტიციის სამინისტრომ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

## მილიონერმა სექსის დროს საყვარლის მკვლელობა აღიარა



ბრიტანელმა მილიონერმა სექსის დროს საყვარლის არაგანზრახ მკვლელობა აღიარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

2016 წლის ოქტომბერში 40 წლის მეწარმე ჯონ ბროედჰერსტმა. რომელმაც ქონება სამშენებლო ბიზნესით დააგროვა, ფეხმძიმე ცოლი მიატოვა და 26 წლის ნატალი კონოლისთან წავიდა. სამი თვის შემდეგ გოგონა მის სახლში დაიღუპა. სასწრაფო დახმარების ექიმების ჩვენებით, რომლებმაც გოგონას გარდაცვალება დააფიქსირეს, მილიონერი უქეიფობისგან იტანჯებოდა და მომხდარის გამო თითქმის არ ნერვიულობდა.

გარდაცვალების წინ კონოლის 40 სხვადასხვა სახის ტრავმა ჰქონდა მიღებული, მათ შორის თვალის ბუდეების მოტეხილობა და შიდა ორგანოების დაზიანებები. ბროედჰერსტმა განაცხადა, რომ ისინი გოგონას სექსის დროს ორმხრივი შეთანხმების თანახმად მიაყენა. გოგონას ნაცნობების თქმით, ის მათ მართლაც ეუბნებოდა, რომ სასტიკი სექსი ხიბლავდა.

ბრალდების მხარე კი სულ სხვა ვერსიას ემხრობა. მათი მონაცემებით, მილიონერმა მას შემდეგ გადაწყვიტა, გოგონასთვის ჭკუა ესწავლებინა, როდესაც შეიტყო, რომ მან სხვა მამაკაცი გაიცნო და ორ ყოფილ პარტნიორთანაც აგრძელებდა ურთიერთობას. მკვლელობის დროს მამაკაცი ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა და საკუთარ თავს ვერ აკონტროლებდა.

სასამართლოზე ბროედჰერსტმა აღიარა, რომ სამაშველო სამსახური არ გამოიძახა და დაშავებული საყვარელი უყურადღებოდ დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩანდა, რომ გოგონა შესაძლოა მიღებული ტრავმებისგან დაღუპულიყო. საბოლოოდ ბრალდების მხარე განსასჯელის ვერსიას დაეთანხმა და უფრო მსუბუქი არაგანზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენა. განაჩენი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

## აბრეუ მსოფლიო რეკორდსმენია



ურუგვაელი ფორვარდი სებასტიან აბრეუ ჩილეს კლუბ მაგალიანესიდან ბრაზილიურ რიო ბრანკოში გადავიდა. თითქოს ეს ინფორმაცია არაფრისმომცემია – დიდი ამბავი, თუ მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი ერთი კლუბიდან მეორეში გადავიდა. თუმცა, არც მასეა საქმე – აბრეუ უნიკალური რეკორდის მფლობელი შექიმნა.

42 წლის ურუგვაელი კარიერის 22-ე სეზონს ჩაატარებს, ხოლო რიო ბრანკო მის კარიერაში 28-ე კლუბი გახლავთ – ეს კი მსოფლიოს რეკორდია.

აბრეუმ ეს 28 კლუბი 3 კონტინენტზე გამოიცვალა. კარიერის უდიდესი ნაწილი აბრეუს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში აქვს გატარებული. თუმცა, ურუგვაელი ევროპაშიც თამაშობდა – ესპანეთში დეპორტივოსა და სოსიედადის ღირსებას იცავდა. გარდა ამისა, ბერძნულ არისშიც ითამაშა, ნახევარი წელი ისრაელში, იერუსალიმის ბეითარშიც გაატარა.

აბრეუ ურუგვაის ნაკრებში 1996 წლიდან თამაშობდა (70 თამაში, 26 გოლი), ბოლო მატჩი კი ეროვნულ გუნდში 2012 წელს, საფრანგეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ჩაატარა. ოფიციალურად არასდროს უთქვამს, რომ ნაკრებიდან წავიდა.

როგორც გითხარით, აბრეუ უკვე 42 წლისაა, მაგრამ კარიერის დამთავრებაზე არ ფიქრობს.

## ხუთი მედალი ჩინეთის მასტერსიდან



ჩინეთში გუანჯოუს მასტერსის ფინალში 3 ქართველი ძიუდოისტი გავიდა, მათგან ვარლამ ლიპარტელიანმა (100 კგ) და გურამ თუშიშვილმა ოქროს მედლები ირგუნეს, ხოლო ამირან პაპინაშვილმა – ვერცხლი.

ეს არ ყოფილა ჩინეთში ქართული დელეგაციის მონაგარი: ვაჟა მარგველაშვილი (66) და ლაშა შავდათუაშვილი (73) ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

ლიპარტელიანმა პირველ დაპირისპირებაში რუსი ნიაზ ბილალოვი ვაზარით დაამარცხა, შემდეგ ბენჟამინ ფლეტჩერი იპონით დაამარცხა, ნახევარფინალში კი ებრაელ პეტერ პალჩიკს სძლია, ხოლო ფინალში მონღოლ ოტგონბაატარ ხაგვასრუენს არ გამოუცხადდა.

თუშიშვილმა პირველ და მეორე მატჩში ყირგიზიური კრაკოვეცკი და ავსტრიელი სტეფან ჰეგი დაამარცხა, ნახევარფინალში კი იაპონელ კოკორო კაგეურას სძლია, ფინალში ბრაზილიელი რაფაელ სილვა შებოჭა და ვადამდელი გამარჯვება მოიპოვა.

პაპინაშვილი ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე რობერტ მშვიდობაძესთან დამარცხდა. ძირითადი დრო უშედეგოდ დასრულდა, ხოლო დამატებით დროში ოქროს ქულა მშვიდობაძემ მოიპოვა, შესაბამისად, პაპინაშვილი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

პაპინაშვილმა ფინალამდე ამარტუვშინ დაშდავას სძლია, ხოლო მანამდე რუსეთის წარმომადგენელ ისლამ იაშუევსა და ჩინელ იუ შენგს მოუგო.

შავდათუაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში მონღოლი ოდბაიარ განბაატარი დაამარცხა. პირველ შეხვედრაში ქართველმა ძიუდოისტმა თურქ ბილალ სილოგლუს მოუგო, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვთან წააგო და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც კოსოვოელ აკილ გჟაკოვას მოუგო.

მარგველაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრაზილიელი დანიელ გარნინი დამატებით დროში დაამარცხა. მანამდე კუბელ ოსნიელ სოლისს მოუგო, თუმცა შემდეგ ყაზახ იელდოს ჟუმაკანოვთან წააგო და რეპეშაჟში გადაერთო, სადაც მონღოლი ჰერლენ განდბოლი დაამარცხა.

უმედლოდ დარჩნენ ლუხუმ ჩხვიმიანი და ბექა შავდათუაშვილი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სკანვორდი



1. თაღი; 2. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 3. ბრინჯის არაყი; 4. დამხმარე თეორემა; 5. მდინარე საფრანგეთში; 6. ფულის ან ქაღალდის შეკვრა; 7. ბერძენთა ცისარტყელას ქალღმერთი; 8. ოცკაპიკიანი (ძვ.); 9. ერთუჯრედიანი ცხოველი; 10. ერთხმიანი საოპერო ნაწარმოები; 11. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 12. ბაქტერია; 13. პატარა სარწყავი არხი; 14. ხეთების მთავარი ქალღმერთი; 15. სიმებიანი საკრავი; 16. ... კვალიაშვილი; 17. ... შარიფი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. მდინარე იტალიაში; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 21. მუხის ნაყოფი; 22. ქალაქ თებეს მეფე ბერძნულ მითოლოგიაში, დედა რომ შეირთო ცოლად; 23. მკვეხარა; 24. ტრამვაის წინამორბედი; 25. საგრილობელი; 26. ბერძნული ანბანის ასო; 27. სამეურნეო ნაწილის გამგე; 28. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში; 29. ტექნიკის რაიმე დარგის სპეციალისტი; 30. მცენარეული შხამი; 31. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 32. მათემატიკური მუდმივა (3.14); 33. ... ვალონე; 34. გეომეტრიული სხეული; 35. ჯარი, ლაშქარი (ძვ.).

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბერსეზი; 2. ჯაკო; 3. ჰეკლა; 4. ავრალი; 6. ასკურავა; 9. რეგატა; 13. როიტერი; 14. თერაპია; 15. ბერეტა; 17. სტუკო; 18. მამნე; 20. პონი.

**თარაზულად:** 1. ბაჯაღლო; 5. ალტაი; 7. ძელშავი; 8. როკფორი; 10. პასკა; 11. ლუარა; 12. ბოგოტა; 16. თელავი; 17. სარმა; 19. იონი; 21. ჰეგელი; 22. ოკეანე; 23. დარიკი; 24. ჯაგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. რეკრუტი; 3. ანეკდოტი; 4. ალარმისტი; 5. მღილი; 6. იადონი; 8. ტანინი; 11. სკიპტრა; 14. იანქოშვილი; 15. ყარაყუმი; 16. შემოქმედი; 17. გილდია; 19. პუდინგი; 21. ბიეფი; 22. კიური.

**თარაზულად:** 1. არმატურა; 5. მესი; 7. კატარი; 9. აკრედიტაცია; 10. დესანტი; 12. ინდიანა; 13. რუსტიკა; 16. შორაპანი; 17. გიდი; 18. სპერი; 20. ტრომბონი; 21. კრუპი; 23. კიელინი; 24. ენგური; 25. ფეოლა.

## ასტროპროგნოზი 17 დეკემბრისათვის



**ვერძი** – სარგებლობას მხოლოდ დაწყებული საქმის დამთავრებით მიიღებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **კურო** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. დაძაბული დღეა. დასვენების დრო არ გაქვთ. საქმე თავდაუზოგავად აკეთეთ. **ტყუპები** – იყავით პრინციპული და საკუთარი თვალსაზრისი დაიცავით. ამავე დროს, სხვების ინტერესებსაც ნუ დააზარალებთ. **კირჩხიბი** – გეგმები გეცვლებათ. დასვენების დრო არ გრჩებათ. საოჯახო პრობლემების მოსაგვარებლად ენერგიას ნუ დაიშურებთ. **ლომი** – ნებისმიერი ახალი საქმე წარუმატებელია. გლობალურ ამოცანებს ნუ შეეჭიდებით. გაუგებრობა გელით კოლეგებთან ურთიერთობაში. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტი შეზღუდეთ. ემოციები ბობოქრობენ. **სასწორი** – საკუთარი ინტერესების დათმობა მოგიწევთ. საღამოს გელით სასიხარულო შეხვედრა ძველ მეგობრებთან. **ღრიანკალი** – ყურადღება მხოლოდ მიმდინარე საქმეებს დაუთმეთ. გავლენიანი ადამიანები მხარს გიჭერენ. **მშვილდოსანი** – ზნეობრივ პრინციპებს ნურაფრის ფასად უღალატებთ. საკუთარი ტალანტის ფართოდ წარმოსაჩენად შანსი გეძლევათ. **თხის რქა** – მოულოდნელი ინფორმაცია აგაფორიაქებთ. გმართებთ დიპლომატიურობა და ტაქტიანობა. **მერწყული** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ნებისმიერი საქმის კეთებისას სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო. **თევზები** – ინტუიცია გიმახვილდებათ. ეცადეთ, დღეს მხოლოდ ხასიათის დადებითი მხარეები წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# დემნა გვასალია: „ვაბანკზე წავედი, როცა ლუი ვიტონი დავტოვე“



ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ „ვეტემენტსის“ ახალი კოლექციის ჩვენება დააანონსა და მთელი მსოფლიოს მოდის კრიტიკოსთა ყურადღება 17 იანვრისკენ არის მიმართული.

4 წლის განმავლობაში დემნამ თავის კოლექციებში წარმოადგინა საბჭოთა კავშირი, რუსეთი, საქართველო, შვეიცარია, მარჯიელა, გერმანული და ფრანგული კლუბური კულტურის ისტერია, თუმცა მოდის მესვეურები დარწმუნებულები არიან, რომ ქართველი დიზაინერის ფანტაზია ამით არ ამოიწურება და ახალი კოლექცია იმაზე უფრო მაგარი იქნება, ვიდრე წინა კოსტიუმები.

დემნასთვის ასეთი წარმატება ნამდვილად მოულოდნელი იყო და ამას ინტერვიუებშიც ხშირად აღნიშნავს:

– 6 წლის წინ ვინმეს ჩემთვის რომ ეთქვა, 37 წლის რომ გახდები, საკუთარი ბრენდი გექნება და თან ფრანგული მოდის სახლის კრეატიული დირექტორი იქნებიო, არ დავუჯერებდი. ვაბანკზე წავედი, როცა ლუი ვიტონი დავტოვე. ვფიქრობდი: ან ყველაფერი მექნება, ან არაფერი!'როცა წამოსვლა გადავწყვიტე, მშობლები მეუბნებოდნენ:'გიჟი ხარ? საოცნებო სამსახური გაქვს, შეგიძლია, ცხოვრების ბოლომდე უზრუნველად იცხოვრო, მაგრამ მაინც წამოვედი და მთელი დანაზოგი, რაც მქონდა, 100.000 ევრო ჩემს ბრენდში ჩავდე. ახლო მეგობარი, უბრალოდ, ნაცნობი, ყველა მეუბნებოდა, რომ სიგიჟეს ვაკეთებდი. ლოგიკა არ არსებობდა.

ისინი ამბობდნენ: მსოფლიოში უამრავი ახალი ბრენდი იბრძვის გადარჩენისთვის, ხშირად კოტრდებიან.'ჩემი საქციელის გასამართლებელი ლოგიკა არ არსებობდა, მაგრამ მე ლოგიკაზე მეტად საკუთარი ინტუიციის მჯერა. ინტუიცია არასდროს მატყუებს. გამიმართლა, რომ ჩემმა ძმამ გამოთქვა ჩართვის სურვილი. მასთან ხშირად ვჩხუბობ, ვუყვირით ერთმანეთს, მაგრამ ვიცი, დღეს რომც ვეჩხუბო, ხვალ ცუდად მაინც არ მომექცევა.

ოჯახის წევრთან მუშაობას ეს დადებითი მხარე აქვს, ვენდობი. გურამი მაშინ ლონდონში ცხოვრობდა. როცა პარიზში ჩამოვიდა და მნახა, ვუთხარი, რომ დეპრესია მქონდა. მას ეკონომიკასა და ბიზნესში აქვს გამოცდილება და საჭირო ხალხს იცნობს. მითხრა, რომ დამეხმარებოდა. ასეც იყო, პირველ სეზონზე 27 მაღაზიას შეუთანხმდა, რაც ახალი ბრენდისთვის შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მაინც არ მეგონა, რომ ის მოხდებოდა, რაც მოხდა.

***– რას შეცვლიდით გასულ 5 წელიწადში?***

– გასულ 5 წელიწადში მხოლოდ ერთ რამეს შევცვლიდი – ეს უნდა ყოფილიყო ჩემი პირველი კოლექცია, რადგან აჩვენებს, ვინ ვარ მე. ადრე ვფიქრობდი, რომ ტანსაცმელს მხოლოდ სხეულის დაფარვის ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს ძალიან შევიცვალე. შეყვარებული ვარ, სიყვარულმა ხედვა შემიცვალა. მალე 40 წლის ვიქნები, მოდის ასაკი, როცა... რა თქმა უნდა, დღის ბოლოს მე პროდუქტს ვქმნი და კომერციული მიზანი მაქვს. არ მოვიტყუები, ფული ჩემთვის მნიშვნელოვანია. არის ხალხი, ვინც მუზეუმის ნიმუშებს კერავს. მე არ ვთვლი, რომ რაღაც ისეთი უნდა შევქმნა, რასაც მუზეუმში გამოფენენ. არ მაინტერესებს მოდა, რომელსაც მუზეუმში დაკიდებენ. მოდა სხეულზე გვაცვია, არტი კედელზე კიდია. მე ვარ კომერციული დიზაინერი, რომელმაც დღის ბოლოს პროდუქტი კარგად უნდა გაყიდოს. იმიტომ ვაკეთებ კაბებს, რომ გაიყიდოს, პირველი მიზანი ეს არის, მაგრამ ყველა პროდუქტს, რომელსაც გამოვუშვებ, ისტორია უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში აზრი ეკარგება.

# რატომ დახურეს „გააგრძელე საქართველოს ისტორია“?!




მაია დვალიძემ ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტული გადაცემის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ გაჩერების რეალურ მიზეზებზე ისაუბრა:

– გავყვეთ ლოგიკურად და ქრონოლოგიურად.... „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ გამოჩნდა ეკრანზე 2011 წელს, პარალელურად გამოჩნდა „დიდებული საუკუნეც“...

ანუ, რა მოხდა რეალურად...

„გააგრძელეს“ პირველი ფილმი იყო „თემურ ლენგის შემოსევები“. მავანმა, ნუ, კაი, არაფერიო...

შემდეგ მოჰყვა „ერეკლე მეორის ეპოქა“...

დიდი ბრძოლებითა და ზეწოლით მოხერხდა ნაწილის გადაღება, სცენარი უფრო ვრცელი იყო, მოკლედ, ამანაც „ჩაიარა“...

შემდეგ ბატონმა გურამმა გადაიღო „ნეიტრალური“ „კონსტანტინეპოლის დაცემა“... „არიქა, მოვარჯულეთო“ და დართეს ნება, გადაეღო „მეთექვსმეტე საქართველოებიც“ და აქ იწყება ყველაზე საინტერესო!...

„დიდებული საუკუნე“ შედგება 4 სეზონისაგან, რომელიც მოიცავს 139 ეპიზოდს, თითო სერია არის დაახლოებით ორსაათნახევრიანი, ქრონომეტრაჟი წუთობრივზე რომ გადაიყვანო, გამოდის დაახლოებით 20 850 წუთი და ამდენი ხნის განმავლობაში 1 წამითაც კი არ არის ნახსენები საქართველო!

1555 წლის „ამასიის ზავი“ არის ნახსენები...

მანამდე ირან-ოსმალეთის ომიც ნახსენებია, რომელსაც ეს ზავი მოჰყვა, მაგრამ, რა იყო ზავის საგანი, სიტყვა არ აქვთ ნათქვამი!

ვინც არ იცით, „ამასიის ზავით“ ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს მანამდეც და მერეც კი აოხრეს!

ხვდებით, რა ვერაგობასთან გვაქვს საქმე?

რამდენი ტიროდით სულეიმანის გამო, გამოტყდით!

ამავე დროს, მიმდინარეობდა „გააგრძელეს“ „მეთექვსმეტე საქართველოების“ გადაღება, რომელიც იწყება საუკუნის დასაწყისით, ვითარდება მოვლენების მიხედვით და, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევს ცალკეულ წრეებში!

და, აი, მოვლენებში უკვე 1543 წელი დადგა და ფილმის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი სცენა „ორი ხელით ჟლიტეთ მტერი!!!“ წარმოთქმული, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს მიერ, ქარალაქის ბრძოლის წინ, სადაც ზუსტადაც „დიდებული საუკუნის“ სულთან სულეიმანს შევებრძოლეთ და მოვუგეთ კიდეც, თუმცა ზუსტად 2 წელიწადში, 1545 წელს სოხოისტას ბრძოლა მოგველოდა, რომელშიც სასტიკად დავმარცხდით და მას შემდეგ დადგა საქართველოსთვის „ჟამი ნგრევისა“ ყველა მხრიდან დღემდე...

ზუსტად ამ მომენტზე გააჩერეს, 3 მზა სერია დღემდე არ გასულა ეთერში და 2017 წლის ივლისში დახურეს კიდეც „გააგრძელე“!

ერთ თვეში უკვე „დიდგორობაც“ აღარ გვაზეიმეს!

დახურვის დღიდან ქვეყანაში მოხდა უამრავი საძაგლობა და მოვედით დღევანდელ საშინელ რეალობამდეც...

P.S. ეძღვნება გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს, რომელთაც ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა ჰგონიათ...

# დათო კენჭიაშვილი რუსეთში კონცერტს გამართავს




მომღერალი დათო კენჭიაშვილი რუსეთში კონცერტს გამართავს.

– ხმა, რომელიც სასწაულებს ახდენს, ეს კონცერტი არ უნდა გამოტოვოთ, – ასე ახასიათებენ ქართველ მომღერალს ორგანიზატორები.

31 იანვარს ქართველ მომღერალს სანკტ-პეტერბურგში ელოდებიან. დათო და მისი მეგობრები სპეციალური საკონცერტო პროგრამით წარდგებიან მსმენელის წინაშე.

საღამო მაქსიმ გორკის კულტურის სასახლეში ჩატარდება.

# ტარიელ ხარხელაურს „მთის შვილის“ საპატიო ჯილდო გადაეცა



პოეტ ტარიელ ხარხელაურს მთის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „მთის შვილის“ საპატიო ჯილდო გადაეცა.

პოეტმა, რომლის ლექსებიც მკითხველში დიდი მოწონებით სარგებლობს, ამ ჯილდოსთვის მის დამაარსებლებს გულითადი მადლობა გადაუხადა.

ტარიელ ხარხელაურთან ერთად „მთის შვილის“ ჯილდოს მფლობელი კიდევ რამდენიმე ადამიანი გახდა.

# შანელის დაბადების დღის მოსაწვევები კალიგრაფისტმა გიორგი სისაურმა დაამზადა




კალიგრაფისტმა გიორგი სისაურმა შანელის დაბადების დღესთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის განკუთვნილი მოსაწვევები დაამზადა.

**გიორგი სისაური:**

– მაღალი მოდა ითხოვს მაღალ კალიგრაფს...

ღონისძიება შანელის დაბადების დღესთან დაკავშირებით იმართებოდა და საამისოდ მოსაწვევებზე მისი გამონათქვამები დავწერე როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენებზე. დაახლოებით 40 გამონათქვამი იყო, რომელიც ამდენივე მოსაწვევ ბარათზე შევასრულე.

ინგლისურ ენაზე დიდი ხანია ვწერ, მაგრამ აქამდე რუსულად არ მიწერია და ეს დიდი გამოწვევა იყო ჩემთვის. როგორც ვიცი, ნამუშევარი ძალიან მოეწონათ...

# ანსამბლ „რუსთავს“ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს



სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავს“ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. ანსამბლის გადაწყვეტილებით, ამ პოსტს გიორგი ნატროშვილი დაიკავებს.

1968 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ ანსამბლის დამფუძნებელი ანზორ ერქომაიშვილი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის „რუსთავის“ 50- წლიან წარმატებაში. იგი ანსამბლის მუსიკალურ ხელმძღვანელად რჩება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## სასამართლომ ბრიტანელს ფეხის მოჭრა აიძულა



დიდ ბრიტანეთში სასამართლომ საავადმყოფოს ნება დართო, პაციენტს მტკივანი ფეხი მოაჭრას, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა.

მამაკაცს განგრენა აქვს და უარს აცხადებს ქირურგიული ოპერაციის გაკეთებაზე, იმის მიუხედავად, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ბრიტანეთის კანონებით პაციენტის თანხმობის გარეშე სამედიცინო დახმარების აღმოჩენა აკრძალულია. ამის გამო ექიმებს მამაკაცის მკურნალობის გაგრძელება არ შეეძლოთ.

საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ სასამართლოს მიმართა. მოსამართლე, რომელიც საქმეს განიხილავდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავადმყოფს ისეთი გონებრივი შესაძლებლობები არ გააჩნია, რომ გადაწყვიტოს, თუ როგორი მკურნალობაა მისთვის უმჯობესი. მან ნებართვა გასცა, რომ მამაკაცს ფეხი იმ შემთხვევაშიც კი მოაჭრან, თუ ის აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევს.

## ძროხა მოტოციკლისტს თავს დაესხა და წააქცია



პარაგვაიში ძროხა ნახტომში დაეჯახა გზაზე მიმავალ მოტოციკლისტს და ძირს დააგდო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გაავრცელა.

ინციდენტი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში სენტრალის დეპარტამენტის ქალაქ კაპიატაში მოხდა. ვიდეორგოლში ჩანს, რომ ნახირი გზაზე გადადის, ხოლო მოტოციკლზე მჯდომი ქალი ცდილობს, რომ სანამ ისინი გზას გადაკვეთენ, მათ მანამდე გაასწროს.

მისი მიახლოება ერთ-ერთ ძროხაში აგრესიას იწვევს. ის მოტოციკლთან მიიჭრება, შეხტება და უკანა ჩლიქებს ჩასცხებს. ქალი ძირს ეცემა და ტკივილისგან მიწაზე დავარდნილი იკლაკნება. გვერდით მოტოციკლით ჩავლილი მამაკაცი გაჩერდება და მის დახმარებას ცდილობს, ძროხა კი გზის მეორე მხარეს გარბის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალს ექიმების დახმარება დასჭირდა. მას მენახირის წინააღმდეგ პოლიციაში საჩივარი არ შეუტანია.

## ინკასატორის მანქანიდან გადმოცვენილმა ათასობით დოლარმა კოლაფსი გამოიწვია




ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ერთ-ერთ ჩქაროსნულ მაგისტრალზე ინკასატორის მანქანიდან ფულები გადმოცვივდა, რამაც კოლაფსი გამოიწვია.

ინციდენტი ისტ-რატერფორდის რაიონში დილის პიკის საათის დროს მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ხალხი მანქანებს ტოვებდა და ტრასაზე ბანკნოტების დასაჭერად გარბოდა.

– ადამიანები ცოტათი შეიშალნენ, როდესაც მიმობნეული ფული დაინახეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათ ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ და პირდაპირ შუა გზაზე აჩერებდნენ მანქანებს, – განაცხადა დანიელ შახმა, რომელიც იმ დროს ავტობუსით მგზავრობდა.

პოლიციის კაპიტანმა ფილ ტაორმინმა განაცხადა, რომ ინკასატორის მანქანას უკანა კარის საკეტი გაუტყდა. მან ასევე დაამატა, რომ ეს შემთხვევა ორი ავარიის მიზეზიც გახდა, თუმცა შესაძლო მსხვერპლის თაობაზე არაფერი განაცხადა.

მისი თქმით, პოლიციისთვის ცნობილია, თუ რამდენი ფული გადმოიყარა ტრასაზე და მან მოქალაქეებს მოუწოდა, ბანკნოტები პოლიციას ჩააბარონ.

## მამაკაცმა შემთხვევით ლურსმანი თავში ჩაირჭო

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ დერბიში მამაკაცმა შემთხვევით ლურსმანი თავში ჩაირჭო.



დაშავებული სახლის სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს კიბიდან ჩამოვარდა. დაცემის დროს ლურსმნების ჩასაჭედი პისტოლეტის ჩახმახს თითი გამოჰკრა და თავში მოხვდა. ამის შედეგად მისი თავის უკანა ნაწილში ლურსმანი აღმოჩნდა ჩარჭობილი.

მომხდარის შემდეგ მამაკაცი დამოუკიდებლად გაემართა დახმარების მისაღებად. მან პოლიციელები მოძებნა, რომლებიც შორიახლოს ავარიის ადგილზე იმყოფებოდნენ და მომხდარის შესახებ მოუყვა. სამართალდამცავებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, რომელმაც მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6678 |
| ევრო | — 3.0138 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3590 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.0173 |

ამინდის პროგნოზი 17 დეკემბრისთვის




## ლეოპარდმა მედიტაციაში მყოფი ბერი მოკლა



ინდოეთში ბერი ტყეში განმარტოებისა და მედიტაციისთვის წავიდა, სადაც მას თავს ლეოპარდი დაესხა და მოკლა.

ბერი რახულ ვალკე ინდოეთის მახარაშტრას შტატიდან უახლოეს ტყეში იმისთვის წავიდა, რომ ხის ძირას მედიტაციით დაკავებულიყო. ის ტადობას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შევიდა, სადაც ვეფხვების ნაკრძალი მდებარეობს.

ბუდისტური მონასტერი, რომელშიც ვალკე ცხოვრობდა, ტყეში მდებარეობს, მაგრამ განმარტოებული ადგილის ძებნაში მისგან სახიფათო მანძილზე წავიდა და ეს იმის მიუხედავად, რომ მონასტრის მკვიდრნი ხელისუფლებამ საფრთხის თაობაზე გააფრთხილა.

ერთ-ერთმა ბერმა განაცხადა, რომ თანამოძმეზე თავდასხმის თვითმხილველი გახდა, როდესაც მას დილის საჭმელი მიუტანა. ის დახმარებისთვის გაიქცა, მაგრამ, როდესაც უკან დაბრუნდა, ვალკე უკვე მკვდარი იყო.

ნაკრძალის თანამშრომლები ლეოპარდის დაჭერას აპირებენ.

— ჩვენ უკვე დავაყენეთ ორი გალია და ხაფანგები ვიდეოკამერებით, შევეცდებით, ცხოველი გავაუვნებელვყოთ, — განმარტა ერთ-ერთმა მათგანმა.

დაღუპულის ოჯახს 1,2 მილიონი რუპიის კომპენსაციას გადაუხდიან.

## ამერიკელმა დაკარგული მამის ჩონჩხს ნახევარი საუკუნის შემდეგ სახლში მიაგნო



ამერიკის ნიუ იორკის შტატის საფოლკის ოლქის კუნძულ ლონგ-აილენდის მცხოვრებმა სახლის სარდაფში აღმოაჩინა თავისი უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის ჩონჩხი. დნმ-ის ტესტმა მისი ვინაობა დაადასტურა.

მაიკლ კეროლმა და მისმა შვილებმა ჩონჩხის ძვლებს სარდაფში ჰელოუინის დროს მიაკვლიეს. ახლახან კი პოლიციამ დაადასტურა, რომ ჩონჩხი მაიკლის მამისაა.

— ეს უჩვეულო, თუმცა არა შოკისმომგვრელი შემთხვევაა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვწუხვართ, მაგრამ გავუძლებთ, — აღნიშნა კეროლმა.

ჯორჯ კეროლი, კორეის ომის მონაწილე 1961 წელს, როდესაც მაიკლი მხოლოდ რვა თვის იყო, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მთელი ცხოვრება ის ცდილობდა გაერკვია, თუ რა დაემართა მამამისს. 1998 წელს მან დედისგან სახლში შეისყიდა და წლების განმავლობაში თხრიდა სარდაფს. მაიკლის თქმით, მას მკითხავმა უთხრა, რომ სწორედ იქ უნდა მოეძებნა.

— მკითხავმა მითხრა, რომ ის თავის ტრავმისგან დაიღუპა. მან დააზუსტა, რომ მას თავში მილი ჩაარტყეს და ცოცხლად სარდაფში დამარხეს, — განუცხადა მაიკლმა ჟურნალისტებს. პოლიციის ვერსიით, მამაკაცი მართლაც თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად არის გარდაცვლილი.

პოლიციელები მომხდარს მკვლელობად განიხილავენ, თუმცა კეროლს გამოძიების გაგრძელება არ სურს.

— მართლმსაჯულება არ იქნება. ის უკვე ასრულდა, როდესაც მისი ცხედარი ამოვთხარეთ. ჩვენ ამით იდეალური დანაშაული დავანგრიეთ, ვინაიდან დამნაშავეებმა თითქმის მოახერხეს მისი განხორციელება, — განაცხადა კეროლმა. ის აპირებს, მამა სრული სამხედრო პატივით დაკრძალოს.

## სანტასთვის 120 წლის წინ მიწერილი წერილი იპოვეს



დიდ ბრიტანეთში აღმოაჩინეს 1898 წელს ხუთი წლის გოგონას მიერ სანტა-კლაუსისთვის დაწერილი წერილი.

წერილი აღმოაჩინეს წიგნში, რომელიც საქველმოქმედო კიოსკში მიიტანეს. ამ დროისთვის ნაპოვნი წერილი ინგლისის ქალაქ კენტერბერიში სათამაშოების მაღაზიაშია გამოფენილი.

1898 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გოგონა, სახელად მარჯორი, ქალაქ ისტბორნიდან სანტა-კლაუსს სთხოვს, შობისთვის აჩუქოს სათამაშო იხვი და წიწილები, წინდები, ბაფთა და ბურთი თავისი კნუტის, სახელად კიტიკინსისთვის.

მაღაზიის თანამშრომელმა ლილი ბერჩოლიმ, რომლის მამამაც აღმოაჩინა წერილი, გადაწყვიტა, მარჯორის შთამომავლები მოძებნოს და წერილი აჩვენოს. წერილიდან მხოლოდ გოგონას სახელი და საცხოვრებელი მისამართია ცნობილი.

— მამა შეეცადა, ის სახლი მოეძებნა, რომელიც კონვერტზეა მითითებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სრულიად სხვა შენობაა, — განაცხადა ბერჩოლიმ. ის და მამამისი ფიქრობენ, რომ წერილის ავტორის სახლი მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ახალგაზრდა რადიოში რეკავს და წამყვანს უყვება:

— ჩემმა მეგობარმა გოგონამ კნუტის ჩუქება მთხოვა. ვნახე ლამაზი, ფუმფულა კნუტი, მივუყვანე, მან კი გადაიფიქრა და მის ჩუქებაზე უარს მეუბნება. როგორ მოვიქცე, ცხოველს რა მოვუხერხო?

— ცხოველი მის მშობლებს ჩააბარე, კნუტი კი დაიტოვე.

•••

ხანშიშესული, მდიდარი მამაკაცი მეგობარს ეკითხება:

— მოხუცი კი ვარ, მაგრამ ახალგაზრდა გოგონაზე მინდა დავქორწინდე და შენი აზრით, თუ ვიტყვი, რომ 65 წლის კი არა 50 წლის ვარ, ჩემი შანსები გაიზრდება?

— შენი შანსები უფრო მეტად გაიზრდება, თუ იტყვი, რომ 87 წლის ხარ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რა ქენი, ნახე რაიმე სამსახური?

— ვნახე, მართალია ხელფასი მცირეა, სამაგიეროს სამუშაო ადვილი და კარგად ნაცნობია.

— რა სამუშაოა ეგეთი?

— სპერმის დონორი ვარ.

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

— ძვირფასო, შენ ჩემი პირველი სიყვარული ხარ!

— ფუ ამის, ისევ დამწყები შემხვდა!

•••

დამნაშავე მოსწავლე დირექტორმა კაბინეტში დაიბარა და ეუბნება:

— შენი დანაშაულის გამოსასყიდად მესამე სართულზე ფანჯრები შეღებე.

ორი საათის შემდეგ მოსწავლე დირექტორის კაბინეტში შეიხედავს და ეკითხება:

— ბატონო დირექტორო, ჩარჩოებიც შევღებო?

•••

გოგონა ბიჭს ეუბნება:

— გინდა ჩემთან სექსი?

— არა, არ მინდა...

— და დალევა გინდა?

— მინდა.

— მერე, მათ შორის კავშირს ვერ ხედავ?

•••

ბავშვმა სახლი ყირაზე დააყენა. მამა ეუბნება:

— შვილო, სხვის შრომას პატივი უნდა სცე!

— რას ამბობ, მამიკო?! განა დედა სხვაა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში



— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ავსტრალიელმა გაამხილა, თუ როგორ ატყუებდა ბანკომატებს




ავსტრალიის მკვიდრმა დენ სონდერსმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ გაამხილა, თუ როგორ ატყუებდა ბანკომატს და აღებული თანხით რამდენიმე თვე უზრუნველად ცხოვრობდა.

2011 წელს ვიქტორიის შტატის მკვიდრი შეეცადა, ღამით 200 ავსტრალიური დოლარი ბარათიდან ბანკში ანგარიშზე გადაეტანა და შემდეგ მოეხსნა. ბანკომატის ეკრანზე დაიწერა, რომ ოპერაცია არ შესრულდა, თუმცა ნაღდი ფული გაიცა.

— ცნობისმოყვარეობამ მძლია და ბანკომატთან ისევ მივედი იმის გასაგებად, შევძლებდი თუ არა კიდევ 200 ან 500 ან 600 დოლარის მოხსნას, — ყვება სონდერსი.

ყოველ ჯერზე ავტომატი მას ფულს აძლევდა, თუმცა ის ბალანსიდან არ იხსნებოდა. მოგვიანებით ის მიხვდა, რომ ღამით ბანკომატი ტექმომსახურებაზე იმყოფებოდა და ტრანზაქციებს არ არეგისტრირებდა, ფულს კი გასცემდა.

შემდგომი ოთხი თვის განმავლობაში მამაკაცმა ასეთი საშუალებით ბანკომატიდან მოხსნა და დახარჯა 1,6 მილიონი ავსტრალიური დოლარი. ის სადილობდა ყველაზე ძვირადღირებულ რესტორნებში, ყოველღამე ბარებში ყიდულობდა ალკოჰოლურ სასმელებს და უცნობებს უმასპინძლდებოდა, კაზინოში თამაშობდა და კერძო თვითმფრინავიც კი დაიქირავა, რათა მეგობრებთან ერთად კუნძულზე შვებულების გასატარებლად გაფრენილიყო.

— საკმაოდ სწრაფად ეჩვევი იმას, რომ ფულს არსაიდან იღებ და მათ უზრუნველად ხარჯავ, — განაცხადა ავსტრალიელმა.

ავსტრალიელს საკმაოდ უცნაურად ეჩვენებოდა ის, რომ მას ვერ იჭერდნენ, ამიტომ ყოველდღე ისე ცხოვრობდა, თითქოს მისი უკანასკნელი დღე იყო. თუმცა ერთხელ მაინც შეძლო შეჩერება, როდესაც გადაწყვიტა, რომ ახლა მართლაც დაიჭერდნენ.

— საკუთარ თავს დავუსვი შეკითხვა: „ნუთუ მე საერთაშორისო დამნაშავე ვარ, რომელსაც შეუძლია, მთელი ფული მოხსნას და სამუდამოდ გაუჩინარდეს?“ ამ კითხვას უარყოფითად ვუპასუხე, — განაცხადა სონდერსმა, რის შემდეგაც ის თავად ჩაჰბარდა.

მამაკაცმა ციხეში ერთი წელი ქურდობისა და თაღლითობის ბრალდებით გაატარა. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ის სამსახურში, რესტორანში დაბრუნდა და აღიარა, რომ მას შემდეგ ბანკომატის მოტყუება აღარ უცდია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. გაწმენდილი ნატეხი შაქარი; 6. მხნეობა; 8. მრგვალი გუმბათიანი ნაგებობა; 10. ხორბლის სალეწი მანქანა; 11. იაპონელთა ჩასაცმელი; 13. ნიანგის სახეობა; 16. რაიმე საქმეში დახელოვნებული პირი; 18. საპალტოე ქსოვილი; 19. კვესი და ...; 21. გარკვეული ხასიათის როლები; 22. აზოტისა და წყალბადის ნაერთი; 23. ოთახის ძაღლი.

**შვეულად:** 1. სახელმწიფო აზიაში; 2. გაზაფხულის თვე; 3. ნაძვის მოყვანილობის კრისტალის მონაზარდები; 4. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 7. პირველი მამაკაცი; 9. პატარა მტაცებელი ნადირი; 12. თავის ტვინის ანთება; 14. სახელმწიფო აფრიკაში; 15. სათხილამურო ფეხსაცმელი; 17. მწერიჭამია მცენარე; 20. მაჰმადიანთა მოძღვარი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

